

„პენსიონერთა ქვეყნის" პენსიონერთა პროტესტი

A2



კონცეფცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად

A2



"თქვენი აფხაზეთი"

A4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 2005 წელი. №271 (1131) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### დეპუტატი ყურადღებას მოითხოვს

ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, ცხინვალის რეგიონს მეტი ყურადღება მიაქციონ. მისი თქმით, ისეთი დაძაბული სიტუაცია, როგორიც ხეობაში დღეს არის, 16 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

A2

## უცხოეთი

### ავიაკატასტროფა ირანის საჰაერო სივრცეში

ირანის დედაქალაქ თეირანიდან საპორტო ქალაქ ბანდარ აბასის მიმართულებით მფრინავმა ამერიკული წარმოების C-130 "ჰერკულეს"-ის ტიპის სამხედრო-სამგზავრო თვითმფრინავმა გუშინ ავიაკატასტროფა განიცადა და საავარიო დაშვების მცდელობისას საცხოვრებელ სახლს დაეცა.

A3

## სამართალი

### მოსამართლეებმა თანამდებობები დატოვეს

"მოსამართლეთა საქმე" კვლავ გრძელდება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას არც გუშინ გამოუტანია გადაწყვეტილება. ორი კვირის წინ ხმაურიანად დაწყებული საქმის განხილვა გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო. მოსამართლეებმა და მათმა ადვოკატებმა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართეს და პროცესის ნორმალურად ჩატარებისთვის გონივრული ვადა მოითხოვეს.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 7/12 | 8/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | 13 |
| ყვარელი | 18 | 20 |
| სოხუმი | 18 | 20 |
| დმანისი | 11 | 12 |
| გორი | 13 | 15 |
| ონი | 10 | 13 |
| ზუგდიდი | 20 | 22 |
| ახმეტა | 14 | 13 |
| გაგრა | 17 | 17 |
| სამტრედია | 20 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.0993 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.1048 |
| რუბლი | 0.0619 |

ამბები A 2
ამბები A 3
ამბები A 4
სამართალი A 5
განცხადებები A 6
სპორტი A 7
რევიუ A 8

# პარლამენტი და გაზრდილი ბიუჯეტის პროექტი

გიორგი ასანიშვილი

*2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა პარლამენტში "ბუნებრივად" მიმდინარეობს: ოპოზიცია ნაკლებად აქტიურია და, ძირითადად, იმით არის დაკავებული, რომ მომავალი წლის მთავარ ეკონომიკურ კანონში რაც შეიძლება მეტი წუნი აღმოაჩინოს, საპარლამენტო უმრავლესობა კი მთავრობის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიმართ ხოტბა-დიდებას აღავლენს. თანაც ისე, რომ ზოგჯერ ძალიან ამლაშებს.*

**"დღეს მთელი ქვეყანა ზეიმობს ქვეყნის გაზრდილ ბიუჯეტს,"** - ამტკიცებს თელავის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ხიდეშელი, რომელიც, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ პარლამენტში განსახილველი კანონპროექტის სადღეგრძელოს საქართველოს ყველა ოჯახში ყანწით სვამენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ივერი ღუდუშაურის ფოტო

*უმრავლესობა და მთავრობა ბიუჯეტის პროექტს აქტიურად განიხილავს.*

# ავანსცენა ვარსკვლავებს ელის

საქველმოქმედო "რეკვიემი" ბავშვებისთვის

სოფო კილასონია

*მას შემდეგ, რაც პაატა ბურჭულაძისა და ფერუჩო ფურლანეტოს გასტროლი თბილისში დასრულდა, ჩვენს გამოჩენილ ბანს და ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას სამომავლო გეგმები დაუსახავთ. პირველსა და უმთავრესს, რაზეც შეთანხმებულან, ჯუზეპე ვერდის "რეკვიემი" ჰქვია. მისი საპრემიერო წარმოდგენა 11 დეკემბერს შედგება, პირველი სპექტაკლი ფონდ "იავნანას" ეგიდით გაიმართება. თეატრის ორკესტრს მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს.*

გაგრძელება A8 გვერდზე



# აშშ ირანისთვის რაკეტების მიყიდვას აპროტესტებს

*ირანისა და რუსეთის თანამშრომლობა კიდევ ერთხელ ხდება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უთანხმოების მიზეზი. ახლახან ირანსა და რუსეთს შორის გაფორმებულმა 1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტმა, რომელიც ისლამური რესპუბლიკის საჰაერო თავდაცვისუნარიანობის გაზრდას ემსახურება, დიდად ჩააფიქრა დასავლეთი, მით უმეტეს, რომ ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო წარმოქმნილი კრიზისის დაძლევა სწორედ რუსეთს აქვს მინდობილი. ბუნებრივად იბადება კითხვა: ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკების რა პროდუქტიულობაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ქვეყანა, რომელმაც ეს მოლაპარაკება უნდა აწარმოოს, თეირანისათვის რაკეტების მიყიდვას აპირებს?*



ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია შეშფოთებულია რუსეთის გადაწყვეტილებით, ირანს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "ტორ-ემ-1" მიჰყიდოს და აპირებს, ეს გარიგება მოსკოვთან განიხილოს, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ვაშინგტონში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერელიმ განუცხადა. მისი თქმით, აშშ არ თვლის, რომ ეს გარიგება მის ან საერთოდ რეგიონის ინტერესებს ემსახურება.

**"ირანი ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოა, ისინი (ირანელები) მტრულ და მავნე აქციებს აწყობდნენ და მოცემულ გარიგებას ჩვენ ამ კონტექსტში განვიხილავთ,"** - თქვა ერელიმ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიწების იჯარით გაცემას გამგებლის თანამდებობა შეეწირა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას კახეთში უკვე მეორედ ეწირება გამგებლის თანამდებობა. გუშინ საღამოს, რეგიონის საოლქო პროკურატურამ დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, იოსებ ხაჩიაშვილის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით აღძრა, რაც სამწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. გამგებელი 2003 წლის დეკემბერში ვაშლოვანის ნაკრძალის 11 ათასი ჰექტარი ტერიტორიის 49 წლის იჯარით უკანონოდ გაცემაშია ეჭვმიტანილი. აღნიშნულის შესახებ პროკურატურა საქმის კურსში კახეთის გუბერნატორმა, პეტრე ცისკარიშვილმა ჩააყენა. **"რწმუნებულმა კახეთის საოლქო პროკურატურაში გადმოაგზავნა მასალები, სადაც აშკარად იკვეთებოდა დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის იოსებ ხაჩიაშვილის მიერ მიწების უკანონოდ გაცემის ფაქტები. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიებული მასალებიდან გამოიკვეთა, რომ დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობამ 2003 წლის დეკემბერში გასცა დადგენილება, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ტერიტორიით მოსარგებლე ფერმერებისთვის საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია, რომ რაიონის მთლიან ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე უნდა შეირჩეს ადგილი და შეიქმნას სარეზერვო სამონაცვლეო ფონდი, რომლის შექმნაც პირადად ევალებოდა რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს. აღნიშნული დადგენილებით სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის რაიონულ კომისიას აეკრძალა სარეზერვო, სამონაცვლეო ფონდიდან გრძელვადიანი გაცემა, გარდა ერთწლიანი იჯარისა. ნაცვლად იმისა, რომ მას შეექმნა სარეზერვო სამონაცვლეო ფონდი, მან 11 ათას 406 მიწის ჰექტარი 49 წლიანი იჯარით გასცა, რაც მას ეკრძალებოდა,"** - აცხადებს ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი და დაუფინანსებელი დაწესებულებები

*დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, 122 მილიონი ლარით ნაკლებია. როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, საქართველოს 2005 წლის 17 ივნისის N1688 კანონის თანახმად, თბილისის ბიუჯეტში 2006 წლის იანვრიდან აღარ ჩაირიცხება მოგების გადასახადი, რამაც დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეამცირა.*

თამარ დვალი

თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი 320 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2005 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვნად შემცირების პირობებში, 2006 წლის 1 იანვრიდან თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდა შემდეგ ორგანიზაცია-დაწესებულებებს: ი.გოგებაშვილის სახელობის ეროვნულ ინსტიტუტს, ი.გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკას, გ.მიქელაძის სახელობის ბიბლიოთეკას, მ.გელოვანის სახელობის რესპუბლიკურ ახალგაზრდულ ბიბლიოთეკას, სასწავლო-სატელევიზიო ცენტრს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრს, საბავშვო სამხატვრო სკოლას, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეს, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეს, თბილისის პირველ, მეორე და მესამე სამუსიკო სასწავლებლებს, შოთა მილორავას სახელობის საესტრადო–საცირკო სასწავლებელს, ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო არატიპურ სახელოვნებო სასწავლებელს – ხელოვნების კოლეჯს, ხელოვნებისა და

გაგრძელება A3 გვერდზე

# სეპარატისტთა პასუხი სამხედრო პოლიციის სპეცოპერაციაზე

*თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ გუშინწინ საღამოს სოფელ არცევის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ვლადიმერ გუდიევი დააკავა. დაკავების სპეცოპერაცია ორმხრივი სროლის ფონზე მიმდინარეობდა, რა დროსაც ყალბი დოლარებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი გუდიევი დაიჭრა. ის დაკავებისთანავე თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში გადმოიყვანეს. ჩხრეკისას მას დიდი ოდენობით ყალბი დოლარები, ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა აღმოაჩნდა.*

*ვლადიმერ გუდიევის დაკავებას რამდენიმე საათშივე მოჰყვა საპასუხო ქმედება ოსური მხრიდან. ოსმა სეპარატისტებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რამდენიმე სოფლიდან 20-მდე ქართველი გაიტაცეს. გატაცებულ ქართველთა შორის სამი პოლიციელი აღმოჩნდა. გატაცებულ ქართველებს ოსური მხარე გუშინ მთელი დღის მანძილზე ნელ-ნელა ისე ათავისუფლებდა, მათი გატაცებისა და პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მიზეზს არ აკონკრეტებდა. დღის ბოლოს კი ცნობილი გახდა, რომ გატაცებული რიგითი მოქალაქეები გათავისუფლებულები არიან. ოსი სეპარატისტების მძევლებად სოფელ ერედვის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები თამაზ ჩიფჩიური, რაჟდენ კაპანაძე და კობა კობალაძე რჩებიან.*

ჩვენი ინფორმაციით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილეს ქართველების გატაცების შემდეგ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა და ოსი სეპარატისტების შინაგან საქმეთა მინისტრი მიხაილ მინძაევი დაუკავშირდნენ, თუმცა გატაცების მოტივისა და მოთხოვნების შესახებ ოსურ მხარეს არაფერი უთქვამს.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში განგვიცხადეს, კავშირზე ერთხელ გამოსვლის შემდეგ რუსმა მშვიდობისმყოფელებმა და მინძაევმა მობილური ტელეფონები გათიშეს. ისინი ქართველ სამართალდამცველებთან შეხვედრას თავს არიდებდნენ და კომენტარებისგან თავს იკავებდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ლუბლიანაში ქართულ-რუსული კონსულტაციები გუშინ გაგრძელდა

ლიუბლიანაში, ეუთოს მინისტერიალის ფარგლებში ორი დღის წინ გამართული ქართულ-რუსული კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა. მხარეთა ექსპერტებმა სადავო საკითხებზე მსჯელობა გუშინ გააგრძელეს. ასევე, გუშინ გახდა ცნობილი რუსეთის პოზიცია ეუთოს იმ განცხადების თაობაზე, რომელიც ქართულ-რუსული კონფლიქტის მოგვარების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას უკავშირდება. მოსკოვი თბილისს ორმხრივი ურთიერთობის მოგვარებას გაეროსა და ეუთოს გარეშე სთავაზობს. "ძნელი დასაჯერებელია, რომ ორმხრივი ურთიერთობების მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები ორივე მხარის მონაწილეობის გარეშე დარეგულირდეს," - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ლუბლიანაში, ეუთოს მინისტერიალის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე. ლავროვი იმედს გამოთქვამს, რომ მოსკოვი და თბილისი, ქართველი და რუსი ხალხის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ორმხრივი ურთიერთობების შემუშავებას შეძლებენ და, მისივე თქმით, მათი საერთაშორისო დონეზე განხილვა სულაც არ არის საჭირო.

"რუსეთი აფასებს საერთაშორისო საზოგადოების კეთილსინდისიერ მონაწილეობას კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებულია," ლავროვი იმედს გამოთქვამს, რომ "ორივე მხარის მოსახლეობის ძალისხმევით, საქართველოში არსებული კონფლიქტები მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით მოგვარდება."

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა სერგეი ლავროვთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ქართველი და რუსი ექსპერტები გააგრძელებენ მუშაობას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ქართული მხარის მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე, რომელთან დაკავშირებითაც პრეტენზიები რუსულ მხარეს გააჩნია. ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ რუსეთზე ბევრადაა დამოკიდებული, გააკეთებს თუ არა ეუთო "სპეციალურ განცხადებას საქართველოზე," რაზედაც მან 55-ვე ქვეყნის თანხმობა უნდა მიიღოს. ეუთოს მხრიდან ერთობლივი განცხადების მიღება დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა მხარეთა ექსპერტები იმ დეტალებზე შეთანხმებას, რომლებზეც დღემდე ვერ თანხმდებოდნენ. ბეჟუაშვილმა კატეგორიულად უარყო რუსული მხარის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაეროსა და ევროსაბჭოში წარდგენილი, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების ინიციატივა სხვადასხვა იყოს. მისი თქმით, დოკუმენტში ახალ გეგმებზე საუბარი არ არის. ქართულმა მხარემ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროში 2004 წელს წარდგენილი, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა უფრო მეტად დაამუშავა და დეტალურად გაწერა. აქედან გამომდინარე, რუსული მხარის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს იგი კონკრეტული არ არის, საფუძველსაა მოკლებული. ბეჟუაშვილის განცხადებით, რუსეთს ეუთო-სტამბულის 1999 წლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თავისი კონცეპტუალური დამოკიდებულება გააჩნია. რუსეთს მიაჩნია, რომ სტამბულის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს. მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, მათ შორის, სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული, არ არის ეუთოს პრეროგატივა და მათი განხილვა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში უნდა მოხდეს. **ინტერპრესნიუსი**

# მიწების იჯარით გაცემას გამგებლის თანამდებობა შეეწირა

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილი კი აღნიშნავს, რომ **"ყველამ უნდა გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა. ამ ხელისუფლებისთვის მუშაობა, ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობას ნიშნავს. ამ პასუხისმგებლობის გაცნობიერების შედეგად არ უნდა მიიღო უკანონო, ხალხისთვის საზიანო გადაწყვეტილებები. ეროვნული პარკის იჯარით და საძოვრად გაცემას კი არავის ვაპატიებ".**

დღეიდან რაიონის გამგებლის მოვალეობის შესრულება კი სოსო ხაჩიაშვილის მოადგილეს მოუწევს. აღმკვეთ ღონისძიებას სასამართლო მას დღეს შეუფარდებს. მიუხედავად ზემოხსენებული ბრალდებებისა, იოსებ ხაჩიაშვილი თავს უდანაშაულოდ აცხადებს და ამბობს, რომ იგი კანონის ფარგლებში მოქმედებდა.

# დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემების კვირეულის შედეგები

გვანცა გულიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება CRINGO-მ დევნილი მოსახლეობის პრობლემების განხილვის კვირეული მოაწყო. კავკასიაში ბოლო ათი წლის მანძილზე არსებულმა და გადაუჭრელმა კონფლიქტებმა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად აქცია. შედეგად, ასიათასობით ადამიანი კონფლიქტების გადაჭრას და შინ დაბრუნებას ელოდება. კვირეულის მიზანი იყო, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და საზოგადოებისათვის შეეხსენებინა, რომ ასიათასობით ადამიანი საზოგადოებისა და ხელისუფლებისგან მხარდაჭერას ელოდება.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა CRINGO-მ განიხილა ის საკითხები, რომლებიც ამ მრავალრიცხოვან ჯგუფს აწუხებს. კავკასიის მთელ ტერიტორიაზე CRINGO-ს ქსელის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები შეხვდნენ მინისტრებს, პარლამენტის წევრებს, სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებს, მერებს, ბიზნესმენებს, მეცნიერებს, ხელოვანებს. საქართველოში შეხვედრებს, სხვა შედეგებთან ერთად, შემდეგი წარმატებები ჰქონდა: პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მომზადდა სოციალური კლიპი, რომელიც საზოგადოებრივი არხით გადაიცემა. აფხაზეთის განათლების მინისტრთან შეთანხმებით, CRINGO-ს წევრი ორგანიზაცია საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ორგანიზაცია "აფხაზეთი" ჩაატარებს ტრენინგებს თბილისში განთავსებულ დევნილთა სკოლებში. ტრენინგები ორიენტირებული იქნება დევნილი ბავშვების სამოქალაქო განათლების ამაღლებაზე.

მრგვალი მაგიდის - "მიგრაციის პროცესების ეფექტური მართვა" - შედეგად გადაწყდა, შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ხელს შეუწყობს, ზოგადად, ქვეყანაში მიგრაციის პროცესების ეფექტურად წარმართვას, შეიმუშავებს მიგრაციის მართვის კონცეფციას და ეროვნულ პროგრამას.

კვირეულის შეფასებისას, ორგანიზატორებმა გამოთქვეს იმედი, რომ ყველა ის სამართლებრივი დავა თუ სოციალური საკითხი, რომელიც დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემების ძიებისას წამოიჭრა, შესაბამისი სტრუქტურებისა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით გადაწყდება და მოგვარდება.

# დეპარტამენტებს შორის შეთანხმება გაფორმდა

გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში "საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის შესახებ ბირთვული და სხვა რადიაქტიური მასალების კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით" შეთანხმებას მოეწერა ხელი. შეთანხმების მიხედვით, ამერიკა საქართველოს საზღვრების საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს რადიაქტიური და სხვა აკრძალული მასალების გამოსავლენი თანამედროვე დეტექტორებით ეტაპობრივად მოამარაგებს. ბადრი ბიწაძის განცხადებით, ამერიკული მხარე რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების პროგრამის ფარგლებში კადრებსაც მოამზადებს. პირველ ეტაპზე, თანამედროვე მოწყობილობა სადახლოში, ყაზბეგში და საზღვაო პორტებში დამონტაჟდება. ქართული მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ, აშშ-ს მხრიდან - ენერგეტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დევიდ ჰუზენგმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# „პენსიონერთა ქვეყნის" პენსიონერთა პროტესტი

თამარ მაისურაძე

**"ხელისუფლებას ხალხის უნდა ესმოდეს, ხალხს - ხელისუფლებისა,"** – პარლამენტის შენობასთან გუშინ შეკრებილი პენსიონერები ყველაზე მეტად ამ "გაუგებრობაზე" წუხდნენ. **"სამწუხაროა, რომ ჩვენს გაჭირვებას ვერც ეს ხელისუფლება იგებს,"** – გვითხრა ხანშიშესულმა ქალბატონმა, რომელსაც წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ მთავრობა ნაშრომ წლებსა და დამსახურებას წყალში ჩაუყრის.

დილის 11 საათზე დანიშნული აქცია ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. აქციის მონაწილეების მოთხოვნა გუშინაც იგივე დარჩა - პარლამენტში განსახილველად შესულ "პენსიების შესახებ" კანონპროექტში გარკვეული მუხლების შეცვლა. შეგახსენებთ, რომ ახალი კანონპროექტის მიხედვით, პენსიონერ ქალთა ასაკი, დღეს არსებული 60 წლის ნაცვლად, 65 წლამდე გაიზრდება და პენსიის დანიშვნა დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით აღარ განისაზღვრება. **"პენსიონერებმა, შესაძლოა, პენსიის დანიშვნის დრომდე ვერ მიაღწიონ და შიმშილით დაიხოცონ. მოვითხოვთ, პარლამენტმა არ მიიღოს აღნიშნული კანონპროექტი და მასში ცვლილებები პენსიონერთა აზრის გათვალისწინებით განხორციელდეს,"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები, რომელთაც ოპოზიციის წარმომადგენლები თანაუგრძნობდნენ.

"კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა მოუწოდა მოსახლეობას, "ნაციონალური მოძრაობის" მიერ წინასაარჩევნოდ დარიგებული, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ვიდეომასალა მიაწოდოს, რათა ხელისუფლებას თვალნათლივ დაანახონ, რა დაპირებებს აძლევდნენ ისინი მოსახლეობას და დღეისთვის რა შესრულდა. მისივე განცხადებით, საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2003 წელს მიიღო აღნიშნული კანონი, თუმცა მისი ამოქმედება წლიდან წლამდე, პერმანენტულად იდებოდა. იგივეს ამბობს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი ზაზა სოფრომაძეც: **"კანონი ჯერ კიდევ 2003 წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ ჯერ - 2004 წლამდე, შემდეგ კი 2005 წლამდე გადაიდო. საქართველოს მოსახლეობას პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ქვეყნის დამოუკიდებლობის მერე არ აუღია,"** - გვითხრა მან.




პენსიონერთა აქცია პარლამენტთან.

"კონსერვატიული პარტიის" მეორე ლიდერი, ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ ხელისუფლება საპენსიო თანხების მატებას არ გეგმავს, რადგან მომავალ წელს გათვალისწინებული 10 ლარი **"მინიმალური თანხაა, რომელიც მოსახლეობას უმნიშვნელო პრობლემასაც ვერ გადაუჭრის,"** - აცხადებს იგი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, გუშინ პარლამენტმა "შრომის კოდექსის" კანონპროექტი არ განიხილა. ეს საკითხი დღის წესრიგიდან პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ინიციატივით ამოიღეს. ბურჯანაძის აღშფოთება გამოიწვია შრომის კოდექსის სამთავრობო ვარიანტის ერთ-ერთმა მუხლმა, რომლის მიხედვითაც, დამქირავებელს უფლება აქვს, ფეხმძიმე თანამშრომელს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს. **"ქვეყანაში, რომელსაც დემოგრაფიული პრობლემები უდგას და 10 წლის შემდეგ შესაძლოა, მხოლოდ პენსიონერთა ქვეყნად იქცეს, ასეთი განცხადებები და დამოკიდებულებები მიუღებელია,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. მისთვის ასევე მიუღებელია ქალთა საპენსიო ასაკის 60-დან 65 წლამდე გაზრდა. **"იმისთვის, რომ უკეთესად შემუშავდეს "შრომის კანონთა კოდექსი", მისი განხილვა საგაზაფხულო სესიისათვის უნდა გადაიდოს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

ამ ინფორმაციის "მახარობელი" "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით ბერძენიშვილი გახლდათ, რომელმაც აქციის წევრებს განუცხადა, რომ სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონპროექტში ქალების საპენსიო ასაკის 65 წლამდე გაზრდა ხელისუფლებისთვის მიუღებელია. ამდენად, სავარაუდოდ, ქალებისათვის საპენსიო ასაკი 60 წლით განისაზღვრება. **"ეს არის ჩვენი პირველი მიღწევა. აუცილებელია ჩვენი ერთად დგომა და მხარდაჭერა,"** - აღნიშნა მან.

დავით ბერძენიშვილი საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნას მოითხოვს. **"ჩვენი მოთხოვნაა, რომ პენსიონერებს პენსია სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით დაენიშნოს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ამ კვირაში დააჩქარებს გარკვეული პრინციპებისა და მოსაზრებების კანონპროექტად ქცევას, რათა საქართველოს პარლამენტმა სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს,"** - განაცხადა ბერძენიშვილმა.

გუშინდელი აქცია დროზე ადრე დასრულდა, თუმცა მთავრობის სახლის წინ შეკრებილები ერთმანეთს მეორე დღემდე დაემშვიდობნენ. პენსიონერების გულშემატკივარი ოპოზიციონერები აცხადებდნენ, რომ თუ დღევანდელი აქცია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იქნება, პარლამენტი იძულებული გახდება, ხალხის მოთხოვნა, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების გაცემის თაობაზე, დააკმაყოფილოს.

# კონცეფცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად

*კავშირი "სამოქალაქო საზოგადოებისათვის" ხელისუფლებას სთავაზობს პროექტს, რომელიც, ქართველი პოლიტიკოსების შეფასებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში შეიძლება სერიოზული დასაყრდენი გახდეს.*

ნანა ქადაგიშვილი

**"არსებულ სირთულეებს კარგად ვაცნობიერებთ და ვიცით, რომ საქართველოს ამ პროექტის განხორციელების ძალიან ცოტა შანსი აქვს. მაგრამ თუ გვინდა, კონფლიქტის ზონაში წარმატებებს მივაღწიოთ, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას წინადადებები ხშირად უნდა შევთავაზოთ... ყველა წინადადების ხელაღებით, უმოტივაციოდ დაწუნება გაუჭირდება და რომელიმეს მაინც დათანხმდება,"** – აცხადებს პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

პროექტის ავტორები (ლაშა ტუღუში, დავით ბაქრაძე, დავით უსუფაშვილი, მიხეილ ჯიბუტი) აფხაზეთში კონფლიქტის გადაწყვეტის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობენ. კონფლიქტის ზონის საზღვრისპირა რაიონებში – (გალი, ოჩამჩირე, ზუგდიდი, წალენჯიხა, მესტია) უნდა შეიქმნას ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონები (რომელიც დაახლოებით 1 300 კილომეტრს მოიცავს), სადაც ფართომასშტაბური ეკონომიკური პროექტები განხორციელდება. როგორც პროექტის ავტორები აცხადებენ, დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, აღნიშნულ რაიონებში არსებული რესურსები (ციტრუსები, ჩაი, სუბტროპიკული კულტურები, თამბაქო, ნავთობი...) ეკონომიკის განვითარების რეალურ შანსს იძლევა. ბუნებრივია, შესაბამისი პოლიტიკური ნებისა და ხელშეწყობის შემთხვევაში.

კონფლიქტურ ზონაში ეკონომიკის განვითარებისათვის, უპირველესად, საჭიროა ამ ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შეღავათიანი ეკონომიკური გარემო. პირველი პრობლემის მოსაგვარებლად პროექტის ავტორები ბალკანეთის გამოცდილებას იყენებენ. ბოსნიაში მოქმედებს ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების უსაფრთხოების დაცვის სამი საფეხური: სამხედრო ძალები, რომელიც მესამე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენს; კონფლიქტური ზონის ორივე მხარის წარმომადგენლებისგან შემდგარი მრავალეროვანი სპეცდანაყოფი და საერთაშორისო საპოლიციო ძალები (მათ ფუნქციაში ადგილობრივი პოლიციის მომზადება შედის). **"უსაფრთხოების ეს მოდელი ჩვენი ქვეყნისთვისაც მისაღებია, ოღონდ, დროთა განმავლობაში, უსაფრთხოების დაცვის სამსაფეხურიანი სისტემა ორზე უნდა ჩამოვიდეს. ანუ პირველი საფეხური - სამხედრო უზრუნველყოფა, რასაც დღეს ჩვენში დსთ-ს ძალები ახორციელებენ, გაუქმდეს და დსთ-ს ძალებმა კონფლიქტის ზონა დატოვონ,"** – აცხადებს დავით ბაქრაძე.

რაც შეეხება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას, პროექტი ეკონომიკური განვითარების ზონებში გადასახადებზე გარკვეული შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს.

ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების დაცვა-ხელშეწყობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ზონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და მართვა. პროექტის ავტორები გვთავაზობენ სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის რამდენიმე ვარიანტს - ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების სტატუსი განისაზღვროს: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების აქტით (რასაც აფხაზური მხარე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება); საქართველოს ცენტრალურსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის დადებული ხელშეკრულებით (ამ შემთხვევაში დიდი შანსია, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მოითხოვოს, რომ ხელშეკრულება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის გაფორმდეს); საერთაშორისო ორგანიზაციის აქტით (თუმცა, ძალიან გაჭირდება მოძებნა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც ასეთი აქტის მიღებას საკუთარ თავზე აიღებს). დასახელებულ ვარიანტებს, საკუთარი უარყოფითი მხარეების მიუხედავად, ერთი მთავარი დადებითი მხარე აერთიანებს – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯების გადადგმა. რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების სპეციალური ზონების მართვას, აღნიშნული ზონების მმართველობის ორგანო უნდა იყოს საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია აცხადებს, აღნიშნული პროექტი, შეიძლება, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში სერიოზული დასაყრდენი გახდეს. თუკი, რა თქმა უნდა, მასში აფხაზური მხარის ჩართვა მოხერხდება.

# დეპუტატი ყურადღებას მოითხოვს

ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, ცხინვალის რეგიონს მეტი ყურადღება მიაქციონ. მისი თქმით, ისეთი დაძაბული სიტუაცია, როგორიც ხეობაში დღეს არის, 16 წლის განმავლობაში არ ყოფილა. "მესამე დღეა, დიდი ლიახვის ხეობის მცხოვრებლები აქციებს მართავენ და ხეობა საერთოდ მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს. ორი დღის წინ კიდევ ერთი ალმაშფოთებელი ფაქტი მოხდა, პატარა ლიახვის ხეობაში ოსებმა 20 მოქალაქე გაიტაცეს და ქართველების მიერ დაკავებული ოსი მილიციელის გათავისუფლებას მოითხოვენ," - განაცხადა ვახტანგაშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს პროცესში და 6 თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის გასათავისუფლებლად კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. მაჟორიტარი დეპუტატი კვირას გადაცემა "დროებაში" გასულ სიუჟეტსაც გამოეხმაურა, რომელიც მარეკ დუდაევის საკითხს ეხებოდა. მისი თქმით, ადამიანი, რომელიც კრიმინალია, გადაცემაში ნაციონალურ გმირად იყო გამოყვანილი. დეპუტატი პრესას მოუწოდებს, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ცალმხრივ სიუჟეტებს ნუ გააკეთებენ. დეპუტატის აღშფოთება გამოიწვია სიუჟეტში ერთ-ერთი "მხედრიონელის" განცხადებამაც იმის შესახებ, რომ ქართველებმა ოსებსა და აფხაზებს ბოდიში უნდა მოუხადონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ზაჰესში „შინჰოფერის" ქარხანა შენდება

ნინო ნარჩემაშვილი

*2006 წელს საქართველოში ხორცისა და ხორცის პროდუქტების ცნობილი ავსტრიული კომპანია "შინჰოფერი" თავის ქარხანას გახსნის. წარმოება ზაჰესში, 14 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსდება და მის მშენებლობას რეკორდულ ვადებში ორი ავსტრიული კომპანია განახორციელებს. გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.*

"შინჰოფერი" უკვე ორ წელიწადზე მეტია, საქართველოში ხორცის პროდუქტების დისტრიბუციას აწარმოებს. დღეისათვის "შინჰოფერი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიაა, რომელიც 500 დასახელების უმაღლესი ხარისხის პროდუქტს აწარმოებს და მისი წლიური ბრუნვა 120 მილიონ ევროს შეადგენს. აღმოსავლეთის ქვეყნებში კომპანიის გაყიდვების მენეჯერი, ავსტრიაში მცხოვრები ქართველი თემურ აფხაიძე, აღნიშნავს, რომ **"შინჰოფერის" წარმოება, რომელიც ზაჰესში აშენდება, უმაღლესი რანგის ტექნოლოგიებითა და ლაბორატორიით იქნება აღჭურვილი და შესაბამისად საუკეთესო ხარისხის პროდუქციას აწარმოებს. ინვესტირებას მთლიანად ავსტრიული კომპანია განახორციელებს და პირველ ეტაპზე საწყისი ინვესტიცია 12 მილიონი ევრო იქნება".** მისივე თქმით, მშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალა თუ ინვენტარი ავსტრიიდან იქნება ჩამოტანილი. მშენებლობის პროცესში კი პერსონალის 75 პროცენტი საქართველოს მოსახლეობა დასაქმდება, რომლებიც სპეციალურ სწავლებას ავსტრიაში გაივლიან. ამასთან, "შინჰოფერის" ქართულ ქარხანაში მუდმივად იმუშავებს კომპანიის ავსტრიელი ტექნოლოგი, რომელიც პროდუქციის ხარისხსა და წარმოების პროცესს საწყისიდან ბოლო ეტაპამდე გააკონტროლებს.



პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო "თბილისი მარიოტში".

"შინჰოფერის" ინჟინერ-ტექნოლოგი და ხარისხის კონტროლის მენეჯერის რუდოლფ ტალიანის თქმით, "ქარხნის მშენებლობისათვის ზაჰესის ტერიტორია სპეციალურად იქნა შერჩეული, რადგან წარმოებას ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების პრობლემები არ შეექმნას".

რაც შეეხება უშუალოდ პროდუქციის წარმოებას, რუდოლფ ტალიანის განცხადებით, კომპანია პროდუქციის სარეალიზაციოდ გამოტანას უკვე 2006 წლის მეორე ნახევარში გეგმავს.

## მოკლედ

### კასპელი "ნაციონალები" "რესპუბლიკურ პარტიაში" გადავიდნენ

"ნაციონალური მოძრაობის" კასპის რაიონულმა ორგანიზაციამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. "ნაციონალური მოძრაობის" კასპის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის ხათუნა თათანაშვილის განცხადებით, რაიონულ ორგანიზაციაში არსებული 3 000 წევრი ერთდროულად გადავიდა "რესპუბლიკურ პარტიაში". ამის მიზეზად ისინი რამდენიმე მოტივს ასახელებენ. მათი თქმით, "ნაციონალურმა მოძრაობამ" ვერ შეასრულა ის წინასაარჩევნო დაპირებები, რაც მოსახლეობას მისცა. გარდა ამისა, კასპში მძიმე სოციალური მდგომარეობაა შექმნილი და "ისევ ის კლანი მოქმედებს, რომელიც "მოქალაქეთა კავშირის" დროს ჩამოყალიბდა". აქედან გამომდინარე, "ნაციონალური მოძრაობის" წევრები აცხადებენ, რომ პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. მათი თქმით, "ნაციონალური მოძრაობის" მანდატებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პირადად გადასცემენ. მათ ჩამოხსნეს ოფისის შენობაზე "ნაციონალური მოძრაობის" აზრა და აცხადებენ, რომ 16 დეკემბრიდან ამ ოფისის შენობაზე უკვე "რესპუბლიკური პარტიის" კასპის რაიონული ორგანიზაციის ფირნიში გამოჩნდება. სწორედ 16 დეკემბერს არის დაგეგმილი კასპში "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერების დავით უსუფაშვილის, დავით ბერძენიშვილის და პარტიის სხვა წევრების ჩასვლა და კასპის რაიონული ორგანიზაციის დაფუძნება. **ინტერპრესნიუსი**

### "ნაცმოძრაობის" ცენტრალურ ოფისში რაიონული ორგანიზაციის თვითლიკვიდაციას არ ადასტურებენ

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში კასპის რაიონული ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

როგორც "ნაციონალების" წარმომადგენელმა თემურ გრიგალაშვილმა განაცხადა, კასპის რაიონული ორგანიზაცია ჯერჯერობით დაფუძნებული არ არის, რადგან მისი ჩამოყალიბების პროცესი ერთი თვის წინ დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა. გრიგალაშვილის თქმით, "ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ხათუნა თათანაშვილი პარტიული დისციპლინის დარღვევის გამო პარტიიდან ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გარიცხეს, თუმცა ის მაინც აქტიურობდა, რადგან პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა სურდა. "ნაციონალების" მტკიცებით, თათანაშვილის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი ორგანიზაციის 3 ათასი წევრი "რესპუბლიკურ პარტიაში" გადავიდა, ტყუილია. "მის გარშემო რეალურად ათამდე ადამიანია შეგროვილი, რომლებიც "ნაციონალურ მოძრაობას" არ წარმოადგენენ და ისინი პარტიული ამბიციების დაუკმაყოფილებლობით განაწყენებული ადამიანები არიან. რაც შეეხება პარტიის კასპის ორგანიზაციას, პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ერთი თვის წინ საფუძველი ჩაეყარა რაიონულ ორგანიზაციას და მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დეპუტატი კახა სუხიშვილი დაინიშნა. იგი ამ ეტაპზე პარტიის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მუშაობს," - განაცხადა თემურ გრიგალაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

### 150-მდე ჩეჩენმა ლტოლვილმა პანკისის ხეობა დატოვა

ჩეჩენი ლტოლვილების ერთმა ნაწილმა გუშინ გამთენიისას პანკისის ხეობა დატოვა.

150-მდე ლტოლვილი რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლების თანხლებით, თბილისის აეროპორტში გაემგზავრა. თბილისიდან სპეცრეისით მათ ჯერ მახაჩყალაში ჩაიყვანენ, შემდეგ კი ქალაქ გროზნოში გადაიყვანენ. რუსეთის მიგრაციის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლის, ალექსანდრ როსტოვცევის განცხადებით, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩეჩენი ლტოლვილები დროებით კარვებში გადანაწილდებიან. პირველი იანვრიდან ოჯახის თითოეულ წევრს ყოველდღიურად 1 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის თანხა გამოეყოფა. მათ კი, ვისი საცხოვრებელი სახლიც ომის დროს დაინგრა, კომპენსაციის სახით, 350 ათასი რუსული რუბლი გადაეცემა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და რუსეთის საელჩოს გადაწყვეტილებით, ჩეჩნეთში დაბრუნების მსურველთა 300 განცხადებიდან, მხოლოდ 150-მდე დაკმაყოფილდა. ჩეჩენი ლტოლვილები სამშობლოში დღეს, დაახლოებით 20.00 საათისთვის ჩავლენ. **ინტერპრესნიუსი**

### 2006 წელს საქართველოში ახალ სიმბოლიკიანი პასპორტების გაცემა დაიწყება

2006 წელს საქართველოს მოქალაქეებზე ახალი სიმბოლიკით პასპორტების გაცემა დაიწყება. აღნიშნული განცხადება გუშინ პარლამენტში, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას, იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ გააკეთა. მისი თქმით, ახალი პასპორტები გაყალბებისგან მეტად იქნება დაცული. კემულარიასვე ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის პასპორტში ფოტო პირველ ფურცელზე იქნება განთავსებული. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# დარღვევები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში

*თანხების არამიზნობრივი და არარაციონალური განაწილება, გაურკვეველი ხარჯები, სახელმწიფო შესყიდვების კანონდარღვევით განხორციელება, - ეს ბრალდებები მხოლოდ მცირეოდენი ჩამონათვალია, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის ექსპერტები თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურს უყენებენ.*

ეთერ მამულაშვილი

საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი უკვე მეორე წელია, თბილისის ბიუჯეტის მონიტორინგს ინტენსიურად ახორციელებს. ამჯამად ინსტიტუტის ყურადღება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით გაწეულ ხარჯებზე შეჩერდა, სადაც ინსტიტუტის ექსპერტებმა, რბილად რომ ვთქვათ, მრავალი ხარვეზი აღმოაჩინეს. **"კონკრეტულ დარღვევებს რომ თავი გავანებოთ, აქ არის ერთი მომენტი. თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ბიუჯეტი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სამსახურების, თავიდანვე არასწორად იყო განსაზღვრული. ამის ერთ-ერთი მაგალითი ის არის, რომ ჯანდაცვის სამსახურმა წლის დასაწყისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების 8 მანქანის შესყიდვა დაგეგმა, თუმცა საბოლოოდ მათ 25 მანქანა შეისყიდეს, თანაც ისე, რომ ეს ცვლილება ქალაქის ბიუჯეტში არ ასახულა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის ეკონომიკურმა ექსპერტმა კახა იმერლიშვილმა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების უმრავლესობა სახელმწიფო შესყიდვების გზით ხორციელდება, სადაც, კახა იმერლიშვილის თქმით, მთელი რიგი დარღვევებია აღმოჩენილი. ასე მაგალითად: წელს ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების შეძენაზე ტენდერი არც კი გამოცხადებულა. ამ შემთხვევაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გამარჯვებულ კომპანიად შპს "ბლოკ-ჯორჯია" დაასახელა. კახა იმერლიშვილის აზრით, ამ შემთხვევაში ხსენებულმა სამსახურმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-7 და 22-ე მუხლები უხეშად დაარღვია, სადაც ცალსახად არის ნათქვამი, რომ 10 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების შესასრულებლად ნებისმიერი საჯარო სამსახური ვალდებულია ტენდერი გამოაცხადოს. თავად განსაზღვრა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ერთი ავტომანქანის შესაძენად ბიუჯეტში 52 ათას 300 ლარი იყო გათვალისწინებული. ცალკე საკითხია ის ფაქტი, რომ შპს "ბლოკ-ჯორჯიას" მიერ სამსახურისთვის შეთავაზებული ფასი ამ შემთხვევაში გამოყოფილ თანხაზე 2 300 ლარით მეტი იყო.

ყველაზე უცნაური კიდევ ის არის, რომ გამარჯვებული კომპანიების სატენდერო წინადადებებში ხშირ შემთხვევაში არ არსებობს ფასების დანართი. ასე მაგალითად: სქოლიოზის პრევენციის პროგრამების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა "მედინ-სერვისმა", რომელსაც სატენდერო წინადადებაში შესასრულებელი სამუშაოების ფასი არ ჰქონდა მითითებული. არადა, სახელმწიფო შესყიდვების დროს ტენდერში მონაწილე კომპანიების მიერ შემოთავაზებულ ფასს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც წესი, ტენდერში ის კომპანია იმარჯვებს, ვინც სახელმწიფო სამსახურს იმავე პროდუქციას ნაკლებ ფასად შესთავაზებს. ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკურად ისმება კითხვა, რა პრინციპით იხელმძღვანელა თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა, მაშინ როცა უპირატესობა შპს "მედინ-სერვისს" მიანიჭა?

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას არ უნდა გააჩნდეს საბიუჯეტო დავალიანება. [illegible] ისინი ხშირ შემთხვევაში თითქმის ერთმანეთის იდენტურია. მაგალითად: გამარჯვებულ ორგანიზაციებს საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციაში არასრულყოფილად აქვთ წარმოდგენილი; შესყიდვების მონაწილეების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები (ცნობა ყადაღის, ნასამართლობის, სასამართლო დავის შესახებ) ძველი თარიღით არის გაცემული და სხვა. **"ჩვენი ინსტიტუტის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ტენდერების უმრავლესობა არასწორად ჩატარდა და თითქმის ყველა შემთხვევაში სასურველი ორგანიზაციების გამარჯვება, ან უკეთეს შემთხვევაში ტენდერი დაუდევრად და არაპროფესიონალურად იქნა განხორციელებული,"** - გვითხრა კახა იმერლიშვილმა.

ერთი საყურადღებო დეტალი: საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტს თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისგან მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება ძალიან გაუჭირდა. კახა იმერლიშვილი ამბობს, რომ მათ მოთხოვნილი ინფორმაცია ხსენებული სამსახურისგან თითქმის ორთვიანი დაგვიანებით მიიღეს, რაც დარღვევებზე ოპერატიული რეაგირებისა და მათი გამოსწორების შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებს.

## მოკლედ

### 4 მილიონი ევრო საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად

მსოფლიო ბანკის სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი პირველი ღონისძიების (FPRSO) ფარგლებში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსთვის 4 მილიონი ევროს ოდენობის ჰოლანდიური გრანტის გადმოცემის თაობაზე. ჰოლანდიის მთავრობამ საქართველოსთვის განკუთვნილი გრანტი ადმინისტრირებისთვის სწორედ მსოფლიო ბანკის განვითარების ასოციაციას გადასცა. ფინანსთა სამინისტროში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, ფინანსური დახმარება საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერას ითვალისწინებს და მას ქვეყანა მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღებს. გრანტით მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარჯებს დააფინანსებს. საქართველოს სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა. ხოლო მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის სახელით, ასოციაციის ადგილობრივი წარმომადგენლობის ხემძღვანელმა ვან როი საუსვორთსმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ეკონომიკური განვითარების მინისტრი თურქეთიდან რუმინეთში გაემგზავრა

ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე გუშინ თურქეთიდან რუმინეთში ჩავიდა. რუმინეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით, ბუქარესტში 2005 წლის 7 დეკემბერს შავი ზღვის, ბალკანეთის რეგიონისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ეკონომიკის მინისტრების შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ალბანეთის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, ბულგარეთის, სომხეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, მაკედონიის, მოლდოვას, სერბეთის, თურქეთის, უკრაინის, ხორვატიის და რუმინეთის ეკონომიკის მინისტრებთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს, ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებს განიხილავს. სამუშაო შეხვედრების დასრულების შემდეგ ეკონომიკის მინისტრები პრესის წარმომადგენლებისთვის ერთობლივ ბრიფინგს გამართავენ. მანამდე კი, 5 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე სტამბულში თურქეთის ვაჭრობის მინისტრს ქურშად თუზმენს შეხვდა, სადაც "GSP+"-ის ფორმატში ქართველი ექსპორტიორების მიერ ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 7200 დასახელების საქონლის უბაჟოდ შეტანის საკითხი განიხილეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პარლამენტი და გაზრდილი ბიუჯეტის პროექტი

პირველი გვერდიდან

მთავრობის საქებარ სიტყვებს დეპუტატები, ეტყობა, უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც ეძებენ და, ვინაიდან ეს საქმე მათთვის უცხო ხილია, კომიკურ სიტუაციაში ვარდებიან.

**"სუბოტიზმში ნუ ჩამითვლით და..."** - სახელისუფლებო ფრაქციის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ვიცე-სპიკერმა სიტყვა აღარ დაასრულებინა.

**"სუბოტიზმში" კი არა, "ნეპოტიზმში", ბატონო იგორ,"** - "შეცდომა" შეუსწორა მიხეილ მაჭავარიანმა თანაგუნდელს. მაგრამ რამდენს?! იქვე, მეორე პარლამენტარმა მოინდომა თავისი განსწავლულობის დემონსტრირება და, "დილეტანტიზმის" ნაცვლად, "დელიტანტიზმის" კრიტიკას მიჰყო ხელი...

პარლამენტართა "ენამზეობას" მათი ინდიფერენტულობაც ემატება. "24 საათი" უკვე წერდა, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა პარლამენტის ნახევრადცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. დეპუტატებმა გამონაკლისი არც ბიუჯეტის პროექტის მიმართ "დაუშვეს". დარბაზში მათი "შეტყუება" გუშინ ვერც მუსიკალური სლაიდებითა და სხვადასხვაგვარი რუკებითა თუ დიაგრამებით მოხერხდა, რომლებიც მთავრობამ თავისი ეფექტური მუშაობის საილუსტრაციოდ წარადგინა საკანონმდებლო ორგანოში.

პრემიერ-მინისტრის ნახევარსაათიანი მოხსენების შემდეგ ბიუჯეტის მიმართ ინტერესი პარლამენტარებმა საერთოდ დაკარგეს, დარბაზიდან თანდათანობით გაიკრიფნენ და მინისტრების (ნიკა გილაური, კახა ლომაია, ლექსო ალექსიშვილი, ლადო ჭიპაშვილი, კოტე კემულარია) გამოსვლებს ცალკეული "მოცლილი" დეპუტატებიღა უსმენდნენ.

შესვენების შემდეგ კიდევ უფრო სავალალო სურათი შეიქმნა: ბიუჯეტის პროექტის განხილვას თვალს მხოლოდ 20-25 პარლამენტარი ადევნებდა. სწორედაც რომ "თვალს ადევნებდა", რადგან პარალელურად, კერძო საუბრებით იყვნენ გართულნი.

**"ხალხო, უსმინეთ, პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს. წყალი მოგასხათ, თუ როგორ გაგაჩეროთ?"** - ხალხის რჩეულების საქციელმა გუშინ არაერთხელ მოუშალა ნერვები სხდომის წამყვან მიხეილ მაჭავარიანს.

ერთადერთ პოლიტიკურ ძალად, ვინც ბიუჯეტის პროექტის მიმართ რეალურად გამოხატავდა ინტერესს, მაჟორიტარების "კასტა" შეიძლება ჩაითვალოს. ისინი, ძირითადად, ლოკალურ საკითხებზე - თავიანთ რეგიონებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე - ითხოვდნენ მთავრობისგან დახმარებასა და მხარდაჭერას.

რაც შეეხება თავად ბიუჯეტის პროექტის ძირითად მახასიათებლებს, ცალკეული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ასე წარმოაჩინა.

**ენერგეტიკა:** "დღეს საქართველოში, პრაქტიკულად, უკვე არსებობს 24-საათიანი ენერგომომარაგება. მხოლოდ ის ობიექტები გვაქვს გათიშული, რომლებსაც დავალიანება აქვს. ამის მიღწევას 2006 წლის ბოლოსთვის ვვარაუდობდით, მაგრამ უკვე წელს მოვახერხეთ... რუსეთის მიერ გაზზე ფასის მომატება, ცხადია, პრობლემებს შეგვიქმნის, მაგრამ შევეცდებით, ეს ნაკლებად მტკივნეული იყოს საზოგადოებისთვის."

**განათლება:** "ეს სფერო აბსოლუტურად თავისუფალია კორუფციისგან. მომავალ წელს საგრძნობლად გაიზრდება უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების დაფინანსება, უახლოეს წლებში კი დასრულდება ყველა სკოლის რეაბილიტაცია (რემონტი, კომპიუტერიზაცია)".

**პენსიები:** "საბაზო პენსია მომავალი წლის მარტსა და სექტემბერში ხუთ-ხუთი ლარით გაიზრდება. ივნისიდან დაიწყება სოციალური დახმარების პროგრამების რეალიზება, რითაც სიღატაკის დაძლევის გზაზე სერიოზული ნაბიჯი გადაიდგმება... დიფერენცირებული პენსიების გაცემა ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან, ამ შემთხვევაში, ფინანსები სხვა სტრატეგიულ და პრიორიტეტულ სფეროებს უნდა მოაკლდეს, რაც ყოვლად დაუშვებელია."

პარლამენტში გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს მთავრობა სახელმწიფო კანცელარიაში "წაიღებს" და მათი გათვალისწინების ან იგნორირების შემდეგ, ბიუჯეტის პროექტს რამდენიმე დღეში კიდევ ერთხელ წარადგენს საკანონმდებლო ორგანოში.

# უცნობი თავისუფლება

## გადაცემის სტუმარია "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი თეა თუთბერიძე

**კობა ლიკლიკაძე:** მინდა გამოხატოთ პოზიცია გუბერნატორის მიერ ჟურნალისტის ცემის ფაქტზე.

**თეა თუთბერიძე:** რამდენიმე დღის წინ, იმედს ვიტოვებ, რომ აწ უკვე ყოფილმა, იმერეთის გუბერნატორმა სცემა ჟურნალისტს. რატომღაც მგონია, ეს რომ არ ყოფილიყო ირაკლი იმნაიშვილი, არამედ სხვა, ადგილობრივი ჟურნალისტი, შესაძლოა, ეს ამბავი არც გახმაურებულიყო. ასეთ ფაქტებს რეგიონის ჟურნალისტებთან უფრო ფართო ხასიათი აქვს, ვიდრე ცენტრალური ტელევიზიების ჟურნალისტებთან.

**კ. ლ.:** სხვათა შორის, ბობოხიძე პირველი არაა. ქარელთან დაკავშირებითაც იყო მსგავსი ფაქტი, როდესაც საბა წიწიკაშვილის სცემა.

**თ. თ.:** ასეთი მენტალიტეტის მქონე ადამიანები როდესაც არიან ხელისუფლებაში, ეს საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც რევოლუციითაა მოსული; ადამიანებს არ შეუძლიათ თავის შეკავება, არ შეუძლიათ აიტანონ კრიტიკა და მწვავედ დასმული შეკითხვები. ბობოხიძეს თუ პოლიტიკურ დებატებში დასმულ კითხვებზე თავშეკავებულად პასუხის გაცემა არ შეუძლია, სავსებით ადეკვატურია მისი გადაწყვეტილება პოსტის დატოვების თაობაზე. მაგრამ, როდესაც შემდგომ პრეზიდენტი აცხადებს, რომ ის მოხარულია, თუ ბობოხიძე პარტიულ საქმიანობას გააგრძელებს... რა საქმიანობა უნდა გააგრძელოს ასეთი მენტალიტეტის ადამიანმა, ჩემთვის ცოტა გაუგებარია.

**კ. ლ.:** მე მიკვირს ჩემი კოლეგის, ირაკლი იმნაიშვილის საქციელი, რომელიც არ ჩივის ამასთან დაკავშირებით. მაგრამ გადავდოთ ეს საქმე, თავად ირაკლი გასცემს პასუხს. შენი შეფასება მაინტერესებს, იკვეთება თუ არა რამე ტენდენცია ხელისუფლებასა და ჟურნალისტებს შორის?

**თ. თ.:** ჩვენ გვქონდა სემინარი, "სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ, თუ რა მდგომარეობაშია მედია. აღნიშნული კანონი საკმაოდ ბევრ უფლებას აძლევს ჟურნალისტებს. და თუმცა ხშირია ჟურნალისტებზე ზეწოლის კონკრეტული ფაქტები, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ, რომ ჟურნალისტები ამ კანონის აქტიური მომხმარებლები იყვნენ. თავის დროზე "თავისუფლების ინსტიტუტში" მომზადდა კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ". ის პირველად 1999 წელს იქნა მიღებული, მაგრამ ეს კანონი საბოლოოდ პარლამენტმა რევოლუციის შემდეგ მიიღო.

**კ. ლ.:** დავაზუსტოთ, რას ნიშნავს - ჟურნალისტები არ არიან კანონით მინიჭებული უფლებების მომხმარებლები. თავიანთ რედაქციაში ვერ ბედავენ და იქიდან ხდება მათზე ზეწოლა?

**თ. თ.:** ჟურნალისტების უფლებების დარღვევას აქვს ადგილი როგორც მედიამფლობელების მხრიდან, ასევე სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისგანაც. განსაკუთრებით ხშირად ჟურნალისტებს პრობლემები აქვთ მედიამფლობელებთან. ჩვენ ვიცით, ელექტრონული მედიის მფლობელები ვინ არიან და რამდენადაა შესაძლებელი, იქ მომუშავე ჟურნალისტებს ექმნებოდეთ ან არ ექმნებოდეთ პრობლემები. ამ ადამიანებს ტელევიზია იმისთვის სჭირდებათ, რომ ხელისუფლებას ძალა აჩვენონ. საქმე ის არის, რომ მედიაბაზარზე რეკლამა შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. შესაბამისად, ვიცით, რომ ტელევიზიის სარეკლამო ბაზარი 5 მილიონს უდრის. ეს თანხა თავის შესანახად ერთ ტელევიზიასაც არ ეყოფოდა. მით უმეტეს, როდესაც 4 ტელევიზიაა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობს. აქედან გამომდინარე, რეკლამა გადანაწილებულია ტელევიზიებზე. პრინციპში, ტელევიზიები დღეს მოგებაზე არ მუშაობენ.

**კ. ლ.:** გასაგებია. ყველა მედიაორგანიზაციაში არის პრობლემები, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ხელისუფლებამ გამუდმებით უბრახუნოს თავში და ეს სისუსტე იმისთვის გამოიყენოს, რათა მედია დათრგუნოს?

**თ. თ.:** დღეს ჩვენს ქვეყანაში კვალიფიციური ჟურნალისტების დეფიციტია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მუდმივად უნდა აკრიტიკოს მედია. ეს უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, მან უნდა მოითხოვოს ჟურნალისტებისგან გაცილებით ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება. ხელისუფლებასაც აქვს აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ, პირველ რიგში, ხელისუფლებაში მომუშავე პროფესიონალების რაოდენობით უნდა დაინტერესდნენ.

# დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი და დაუფინანსებელი დაწესებულებები

პირველი გვერდიდან

კულტურის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რუსეთის კულტურის ცენტრს, აზერბაიჯანის კულტურის ცენტრს, კავკასიურ სახლს, დ. ბააზოვის სახელობის ებრაელთა ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებას, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს, საფორტეპიანო ტრიოს და ანსამბლ "თბილისს".

რაც შეეხება თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებს, მათი დაფინანსებაც, შარშანდელთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია. გამონაკლისი კვლავ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურია, რომლის დაფინანსებაც 127 მილიონ 45 ათას ლარს შეადგენს. ფაქტობრივად, ბიუჯეტის ხარჯების 61,4 პროცენტი დედაქალაქის საბინაო მშენებლობების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებზეა გათვლილი.

როგორც თბილისის მთავრობა აცხადებს, მომავალ წელსაც პრიორიტეტად კვლავ ასფალტის დაგება და ფასადების შეღებვა რჩება. გზის საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის კეთილმოწყობის სამსახურს თბილისის საქალაქო და რაიონული ბიუჯეტებით 64 მილიონ 272 ათასი ლარი ერგო. როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, 2006 წელს ასფალტის დაგება თბილისის გარეუბნებსა და შიდა კვარტლებში მოხდება. გარე განათების ქსელის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციას 13000 ლარი მოხმარდება, ფასადების შეკეთების სამუშაოებს - 6000 ლარი, ხოლო დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებს – 13000 ლარი. კაპიტალური მშენებლობისათვის 13 572,9 ლარია გამოყოფილი.

განათლების და კულტურის საქალაქო სამსახურის ხარჯები 12 მილიონ 564 ათასი ლარით განისაზღვრა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის ხარჯები - 7 მილიონ 125 ათასი ლარით, სპორტის საქალაქო სამსახურს 8 მილიონ 314 ათასი ლარი ერგო. ზედამხედველობის ინსპექციის საქალაქო სამსახურის ხარჯები 1 მილიონ 541 ათასი ლარით, ხოლო ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ხარჯები 1 მილიონ 620 ათასი ლარით განისაზღვრა. საკმაოდ სოლიდური თანხა ერგო თბილისის კორპუსს, მომავალ წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან აღნიშნულ სამსახურს 10 მილიონ 176 ათასი ლარი ექნება.

თბილწყალკანალის ხარჯები 37 მილიონ 600 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო მეტროპოლიტენის ხარჯები - 31 მილიონ 750 ათასი ლარით. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს 11 მილიონ 495 ათასი ლარი ერგო. თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯები 3 მილიონ 443 ათასი ლარით განისაზღვრა. მთავრობის აპარატის ხარჯებმა 6 მილიონ 793 ათასი ლარი შეადგინა.

თბილისის რაიონების 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები 44 მილიონ 442 ათას ლარს შეადგენს.

ყველაზე დიდი თანხა ისან-სამგორის რაიონს ერგო, მისი ბიუჯეტი 11 მილიონ 184 ათასი ლარით განისაზღვრა. თანაბარი დაფინანსება ერგო გლდანი-ნაძალადევისა და დაბა წყნეთის რაიონებს, მათი დაფინანსება 10 მილიონ 433 ათასით განისაზღვრა. ჯერ-ჯერობით, გამგებლის გარეშე დარჩენილ ვაკე-საბურთალოს რაიონს 8 მილიონ 29 ათასი ლარი ერგო. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები 7 მილიონ - 436 ათასი ლარით, ხოლო მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ხარჯები 6 მილიონ 727 ათასი ლარით განისაზღვრა.

## უცხოეთი

# ავიაკატასტროფა ირანის საჰაერო სივრცეში

*ირანის დედაქალაქ თეირანიდან საპორტო ქალაქ ბანდარ აბასის მიმართულებით მფრინავმა ამერიკული წარმოების C-130 "ჰერკულეს"-ის ტიპის სამხედრო-სამგზავრო თვითმფრინავმა გუშინ ავიაკატასტროფა განიცადა და საავარიო დაშვების მცდელობისას საცხოვრებელ სახლს დაეცა. ინციდენტის შედეგად დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი ყველა მგზავრი და საცხოვრებელ სახლში მყოფი ათამდე ადამიანი. შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამუშაოები დღესაც გრძელდება.*

ნანა ნასყიდაშვილი

ირანის დედაქალაქ თეირანში გუშინ ამერიკული წარმოების C-130 "ჰერკულესის" ტიპის სამხედრო-სამგზავრო თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა და ათსართულიან საცხოვრებელ სახლს დაეცა. თეირანის მერის თქმით, სამხედრო-სამგზავრო თვითმფრინავზე 94 ადამიანი იმყოფებოდა. წინასწარი მონაცემებით, ინციდენტის შედეგად დაიღუპა ეკიპაჟის ყველა წევრი და საცხოვრებელ სახლში მცხოვრები 10-მდე ადამიანი (საერთო ჯამში 120-მდე ადამიანი). ნიშანდობლივია, რომ რიგითი მოქალაქეების პარალელურად, თვითმფრინავზე ირანის რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. მედიის წარმომადგენლები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე საპორტო ქალაქ ბანდარ აბასში სამხედრო სწავლების გასაშუქებლად მიემგზავრებოდნენ.

**"მე სახლის ეზოში ვიჯექი, როდესაც მოახლოებული თვითმფრინავი დავინახე. ჩვეულებრივ თვითმფრინავები სხვა მხრიდან მოფრინავენ ხოლმე. მივხვდი, რომ რაღაც წესრიგში არ იყო. ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი, როდესაც ის საცხოვრებელ სახლს დაეცა, გაისმა აფეთქების ხმა და ყველაფერი კვამლმა დაფარა,"** – აღნიშნა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

ირანის სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენლის აბდულ რაჰიმის თქმით, თვითმფრინავის პილოტმა ცენტრალურ აეროპორტს ძრავის შეფერხებული მუშაობის თაობაზე აეროპორტ "მეხრაბადიდან" აფრენის შემდეგ მალევე აუწყა და ასაფრენ ბილიკზე დაშვების ნებართვა ითხოვა. ავარიული დაშვების მცდელობისას თვითმფრინავი ქალაქის სამხედრო მოხელეებით დასახლებულ უბან "იაფტაბად"-ში ჩამოვარდა. საგულისხმოა, რომ ავიაკატასტროფის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი შესაძლოა ირანის დედაქალაქზე ჩამოწოლილი ბურუსიც იყოს.



კატასტროფის ადგილას.

ავიაკატასტროფის ადგილი გუშინ გვიან საღამომდე ცეცხლის ალში იყო გახვეული. დასახლება "იაფტაბად"-ის ტერიტორიაზე მდებარე შენობის ნანგრევებში დაშავებულთა და გარდაცვლილთა აღმოჩენის მიზნით, მაშველთა ჯგუფები სამძებრო სამუშაოების ჩატარებას დღესაც აგრძელებენ.

საგულისხმოა, რომ ირანის ტერიტორიაზე საჰაერო ავიაკატასტროფა ბოლოს 2003 წლის თებერვალში მოხდა. მაშინ ილ-76-ის ტიპის თვითფრინავი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოვარდა და ინციდენტმა ირანის 276 სამხედრო მოხელის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ირანის სამხედრო-საჰაერო პარკი ამერიკული წარმოების C-130-ის ტიპის 15 თვითმფრინავს ფლობს, რომლებიც ქვეყანამ ისლამურ რევოლუციამდე 1979 წელს შეიძინა. "ჰერკულესი"-ს სერიის C-130-ის ტიპის თვითფრინავების მწარმოებელი კომპანია Lockheed-ია და აღნიშნული ტიპის ავიამანქანები უკვე 40 წელია მზადდება. საერთო ჯამში აღნიშნული მარკის სამხედრო-სატრანსპორტო სულ 2100 ერთეული თვითმფრინავია გამოშვებული.

# აფეთქება ნეთანიაში - ტერაქტის მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება

ისრაელის ქალაქ ნეთანიაში აფეთქების ხმა ორშაბათს ადგილობრივი დროით დილის 11:30 საათზე გაისმა. ტერორისტების სამიზნე ამჯერად ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი "შარონი" გახდა. თვითმკვლელი ტერორისტი შენობაში შეღწევას ეცადა, მაგრამ პოლიციელების წინააღმდეგობის შემდეგ თავი შესასვლელში აიფეთქა, რამაც ისრაელს გაცილებით მასშტაბური ტრაგედია აარიდა თავიდან.

**"შესასვლელში პალესტინელმა დაცვისა და პოლიციელების ყურადღება მიიქცია, რის შემდეგაც შემოწმებისთვის მთავარი შესასვლელიდან გაიყვანეს. სწორედ ამ დროს ტერორისტმა თავიც აიფეთქა"**, - განაცხადა ისრაელის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელმა მიკი როზენფელდმა.

აფეთქებას, თავდაპირველი ინფორმაციით, 5 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 50-ზე მეტი დაშავდა. თუმცა, მოგვიანებით გაკეთებული განცხადებებიდან გაირკვა, რომ დაშავებულთა ნაწილის მძიმე მდგომარეობის გამო მსხვერპლის რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდა გამორიცხული არ არის.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ორმა პალესტინურმა დაჯგუფებამ "ისლამურმა ჯიჰადმა" და "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადამ" აიღო. "ისლამურმა ჯიჰადმა" თვითმკვლელის სახელიც გაახმაურა. ნეთანიის ტერაქტის ორგანიზატორი და შემსრულებელი 23 წლის ლუფთი ამინ აბუ სალემი აღმოჩნდა, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი.

რადიკალური დაჯგუფებების განცხადების შემდეგ ოფიციალური მიმართვა მომხდართან დაკავშირებით პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმაც გააკეთა, რომელმაც, რასაკვირველია, დაგმო თავდასხმა.

**"ეს ნამდვილი ტერორისტული აქტი იყო, მაგრამ დამნაშავე ამაში მხოლოდ ერთი თვითმკვლელი ვერ იქნებოდა, ამიტომ საჭიროა, დანარჩენი თანამზრახველების პოვნაც და მათი სასტიკად დასჯა,"** - აღნიშნა აბასმა.

პალესტინის ავტონომიის ლიდერის განცხადების მიუხედავად, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მომხდარში პალესტინის ხელისუფლება დაადანაშაულა. მისი თქმით, ხელისუფლება არ ცდილობს ბოევიკების წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების მიღებას, რასაც ასეთი ფატალური შედეგები მოაქვს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორშაბათსვე ტერაქტამდე ცოტა ხნით ადრე, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა პალესტინელი ბოევიკების მიერ "მიზნობრივი განადგურების" სტრატეგიის აღდგენაზე ისაუბრა.

ტერაქტის შემდეგ კი, ოფიციალური განცხადებები პალესტინელთა ქმედებებთან დაკავშირებით ისრაელის სხვა სახელმწიფო უწყებებშიც გააკეთეს.

**"მანამდე, ვიდრე ტერორისტული დაჯგუფებები შეიარაღებულნი რჩებიან, ისინი არ შეწყვეტენ უდანაშაულო მოქალაქეებზე თავდასხმას და მასობრივ მკვლელობებს. პალესტინის ხელისუფლება ამ ჯგუფების განიარაღების შესახებ დადებულ პირობას არ ასრულებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ ყველა ზომა მიიღონ ამ მკვლელების განიარაღებისთვის,"** - თქვა ისრაელის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ რეგევმა.

თავდასხმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მედიატორმა საებ ერექათმაც დაგმო, რომელიც პალესტინის ავტონომიის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელიცაა.

**"დარწმუნებული ვარ, რომ ეს პალესტინის ინტერესებს დიდ დარტყმას მიაყენებს, რადგან სამშვიდობო პროცესის საბოტაჟის კიდევ ერთი მცდელობაა. ეს ყველაფერი კი თავის გავლენას მომავალი წლის იანვარში დაგეგმილ პალესტინის საპარლამენტო არჩევნებზეც იქონიებს,"** - აღნიშნა ერექათმა.

ნეთანიის ტერაქტი 26 ოქტომბრის შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც უშუალო დარტყმა ხალხის მასობრივი შეკრების ადგილზე განხორციელდა. სავაჭრო ცენტრის ტერაქტამდე კი პალესტინელებმა ისრაელის ტერიტორიაზე ორი რაკეტა ისროლეს, რასაც ღაზას სექტორზე ისრაელის საავიაციო თავდასხმის გამო შურისძიება უწოდეს.

*24 საათი*

# აშშ ირანისთვის რაკეტების მიყიდვას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, რუსეთის მიერ ირანისთვის რაკეტების მიწოდების საკითხი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ნიკოლას ბერნსმა გასულ კვირაში მოსკოვში ვიზიტის დროს განიხილა. **"სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბერნსმა გასაგებად მიანიშნა რუსულ მხარეს ჩვენი შეშფოთების შესახებ საერთოდ ირანის ქცევასთან დაკავშირებით და, კერძოდ, ამ გარიგების თაობაზე,** – განაცხადა ერელიმ, - **ჩვენ კვლავაც შევეცდებით ამ საკითხის რუსებთან წამოწევას"**.

ორშაბათს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა რუსეთის მიერ ირანისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიყიდვის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. როგორც მან ჟურნალისტებს მოსკოვში განუცხადა, ეს კონტრაქტი **"რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლას ცალსახად არ გამოიწვევს"**.

ივანოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ირანისთვის იარაღის მიწოდებას საერთაშორისო კანონმდებლობის უმკაცრესი დაცვით ახორციელებს.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს საბჭოთა წარმოების ირანული სამხედრო თვითმფრინავების "სუ-24"-ის და "მიგ-29"-ის მოდერნიზაციის შესახებ. როგორც რუსული გაზეთი "ვედომოსტი" იუწყება, კონტრაქტი ნოემბრის ბოლოს იმ შეთანხმების ფარგლებში დაიდო, რომლის მიხედვითაც რუსეთი ირანს 32 (სხვა მონაცემებით - 29) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს "ტორ-ემ-1"-ს მიაწვდის. მისი ღირებულება 700 მილიონი დოლარია, კონტრაქტების პაკეტის სერთო თანხა კი 1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ამჟამად ირანის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეიარაღებაში 24 ერთეული "სუ-24" და 35 ერთეული "მიგ-29" აქვს.

რუსული "ნეზავისიმაია გაზეტას" მონაცემებით, ირანი რუსეთში ასევე შორი მოქმედების რადიუსის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის "ეს-300"-ის შეძენას აპირებს. როგორც გაზეთს მრეწველობის ფედერალური სააგენტოს წარმომადგენელმა აცნობა, რუსეთი ამ კომპლექსების წარმოებას სწრაფად ვერ მოახერხებს და კონტრაქტის ხელმოწერის შემთხვევაში, მას ირანს რუსეთის შეიარაღებული ძალების მარაგიდან მიჰყიდიან.

გაზეთის ინფორმაციით, თავდაპირველად ირანი რუსეთში ორივე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის - "ტორ-ემ-1"-ის და "ეს-300"-ის შეძენას აპირებდა. სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამგვარი სისტემა საიმედოდ დაიცავდა ირანის საჰაერო სივრცეს. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსური სისტემა ორი მილიარდი დოლარი ჯდებოდა, თეირანმა კი ამ პროექტისათვის სახსრები ვერ გამოძებნა და "ტორ"-ების კომპლექსის შეძენა გადაწყვიტა.

*24 საათი*



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

პრეს-რელიზი

## კონსტრუქციული შეხვედრა

ბერლინთან ახლოს, 25-29 ნოემბერს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების რიგით მეთექვსმეტე სემინარი-დიალოგი გაიმართა. ამ შეხვედრებში მონაწილეობენ ორივე მხარის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. შეხვედრათა ციკლის მიზანია, მონაწილეებს მიეცეს განსჯისა და ანალიზის საშუალება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის. იმდენად, რამდენადაც ეს პროცესი ოფიციალურ ხასიათს არ ატარებს, მისი მონაწილეები გადაწყვეტილებებს არ იღებენ.

საუბარი შეეხო საქართველოს პარლამენტის რეზოლუციას დსთ-ს სამშვიდობოების შესაძლო გაყვანასთან დაკავშირებით და გალის რაიონის უსაფრთხოების საკითხს.

სემინარის მონაწილეებმა განიხილეს მხარეთა პოზიციები და მისი გავლენა მოლაპარაკების პროცესის სტრატეგიაზე. შეშფოთება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ვერა და ვერ მოხერხდა მოლაპარაკების პროცესში პროგრესის მიღწევისათვის საჭირო კონსტრუქციული ფუნდამენტის შექმნა.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სიძნელეები წარმოიქმნა მხარეთა განსხვავებული მოსაზრებებისა და მოლოდინების გამო.

განიხილეს, აგრეთვე, ის კონკრეტული ნაბიჯები, რომელსაც მხარეები გადადგამენ ერთად, ან ცალ-ცალკე მოლაპარაკებების გაუმჯობესებისათვის. ეს ნაბიჯები უნდა იყოს კონკრეტული, პერსპექტიული და უშუალოდ ეხებოდეს მიმდინარე მოვლენებს. ამავე დროს, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მხარეთა შორს-გამიზნულ მისწრაფებებს.

პრინციპული შეუთანხმებლობის მიუხედავად, მხარეებმა დაინახეს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმა გარკვეული პირობების შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა და რაც ხელს შეუწყობდა სიტუაციის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

სემინარი კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა, რაც დიალოგის კულტურის ამაღლების იმედს იძლევა.

აფხაზური მხრიდან სემინარში მონაწილეობდნენ: ნათელა აკაბა, დაურ არშბა, თამაზ ქეცბა, ლეონიდ ლაკერბაია, ანატოლი ოტირბა, გარიკ სამანბა, ბათალ ტაბაღუა, დიმიტრი შამბა.

ქართული მხრიდან – ირაკლი ალასანია, ნიკოლოზ გვარამია, ირაკლი გეგეჭკორი, ვახტანგ ყოლბაია, ნათია წკეპლაძე, დავით უსუფაშვილი და პაატა ზაქარეიშვილი. ყველა მონაწილეობდა პერსონალურად და არა როგორც რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შეხვედრების ორგანიზატორები არიან ბერხჰოფის ფონდი (ბერლინი) და "შერიგების რესურსები" (ლონდონი). სემინარი მიჰყავდათ კლემ მაკარტნის, ჯონათან კოენს, ოლივერ ვოლეის და რეიჩელ კლოგს.

სემინარი დააფინანსა გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ.

## ერთობლივი სარეაბილიტაციო პროგრამა კონფლიქტის ზონაში

2005 წლის 6 დეკემბერს, ქ. სოხუმში კონფლიქტის ზონისთვის გათვალისწინებული სარეაბილიტაციო პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თანათავმჯდომარეები იყვნენ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, ელჩი ჰეიდი ტალიავინი, ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი, ელჩი ტორბენ ჰოლცი და გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი რობერტ უოტკინსი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქართული და აფხაზური მხარეები, და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები.

ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა გიორგი ხაინდრავა, აფხაზურ დელეგაციას – სერგეი შამბა. მეგობარი ქვეყნებიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ გერმანიის ელჩი უვე შრამი (კოორდინატორის რანგში), აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი, რუსეთის ფედერაციის საელჩოს მრჩეველი ივან ვოლინკინი, საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ფაბიენ დრუ-ლოზინსკი და გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მდივანი უილიამ რობინსონი.

ერთობლივ სარეაბილიტაციო პროგრამას ევროკომისია დააფინანსებს, ხოლო განახორციელებს გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში და გაერო-ს განვითარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ორი ფაზისგან შედგება და მომდევნო ორი ან სამი წლის განმავლობაში განხორციელდება. პირველი ფაზა, რომელიც შეფასებულია ორ მილიონ ევროდ, მიმდინარე წლის დასასრულს დაიწყება. პროგრამა მიზნად ისახავს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების აღდგენით, როგორიცაა ელექტრომომარაგება, ჯანდაცვა, საკანალიზაციო სისტემები, დასუფთავება და სოფლის მეურნეობის განვითარება. ეს პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს მხარეებს შორის ნდობის აღდგენას, უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას და სტაბილურობის დამკვიდრებას რეგიონში.

პირველ შეხვედრაზე სარეაბილიტაციო პროგრამის პირველი ფაზა დაიწყო, რომელიც გულისხმობს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ელექტრომომარაგების, ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სექტორებში გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონებში ცეცხლის შეწყვეტის ზოლის აფხაზურ მხარეს, და ზუგდიდის რაიონში ცეცხლის შეწყვეტის ზოლის ქართულ მხარეს. ქართული და აფხაზური მხარეები შეთანხმდნენ, აქტიურად ითანამშრომლონ სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებაში და უზრუნველყონ უსაფრთხოების საჭირო პირობები.

გადარჩენილი ფოტოები



1982 წელი, გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის საშუალო სკოლას მიენიჭა აფხაზეთის სახალხო მწერლის ივანე პაპასკირის სახელი. მარცხნიდან: ვიაჩესლავ ცუგბა (აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ბაგრატ შინკუბა (აფხაზეთის სახალხო პოეტი), თამარ კოლონია (ფხაზეთის განათლების მინისტრი), მერი გეგეჭკორი (გალის რაიკომის მეორე მდივანი), ვანო შარანგია (გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), შამილ ფილია (აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორი) და სხვები.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## ქართული სკოლების ბედი ენგურს გაღმა-გამოღმა

ნატო კორსანტია

1998 წლის მაისის იმ უსასტიკეს დღეებში გალის რაიონის ქვედა ზონის ღვთისა და კაცისაგან გაწირულ სოფლებში ერთი ამგვარი ტრაგედიაც მოხდა: სოფელ განახლების მკვიდრმა, საქართველოს დამსახურებულმა პედაგოგმა ვალენტინა ლაგვილავამ წინაპართა საგვარეულო სასაფლაოზე თავი ჩამოიხრჩო. ვალენტინა ლაგვილავამ ასე უხმოდ და, ამასთანავე, ასე მკვეთრად უპასუხა ენგურს გამოღმა ბევრისთვის პასუხგაუცემელ კითხვას: რატომ არ ტოვებენ გალელები მშობლიურ მიწა-წყალს და რისთვის ბრუნდებიან უკან სახლკარგადამწვარნი და ნატანჯ-ნაგვემნი? **"სამშობლოს განცდა საფლავით იწყება. ვინც წინაპართა საფლავზე უარს ამბობს, მას აღარ ეკუთვნის ეს მიწა (ზურაბ კიკნაძე),"** - ძალიან მოკლედ ასეთი იყო ეს პასუხი.

ნიშანდობლივია, რომ ვალენტინა ლაგვილავა პედაგოგი იყო და პედაგოგები ყველგან და ყოველთვის, ყოველ დროსა და ეპოქაში საქვეყნო სათქმელსაც ამბობდნენ და თაობებს თავდადების, პატრიოტიზმის მაგალითებსაც კარნახობდნენ.



*სკოლა გალში.*

ალბათ, ამიტომაც მტერსაც არც ამჯერად შეშლია, როცა აფხაზეთში, და განსაკუთრებით კი, გალის რაიონში სამიზნედ ქართული სკოლები და მათი პედაგოგები ამოიღო. განსაკუთრებით გალის რაიონში იმიტომ, რომ დანარჩენ აფხაზეთში ისედაც გადაწყვეტილი იყო ქართული სკოლებისა და ქართული ენის ბედი. უქართველებოდ დარჩენილ სოფელ-ქალაქებში ვის უნდა დაეცვა ისინი? გალის რაიონში კი, სადაც ქართველთა ნაწილი თავიდანვე დარჩა და უფრო მეტი ნაწილი მერე დაბრუნდა, ქართულ სკოლებს, ქართულ ენას ქართველი პედაგოგები პატრონობდნენ, სრულიად უანგაროდ, ან სიმბოლური ანაზღაურების თანხლებით.

თუმცა ის, რაც თანდათან მოხდა, თავიდან ვერავის წარმოედგინა. რატომღაც ვერავის წარმოედგინა, რომ 21-ე საუკუნეში, როცა ადამიანების ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ქართული სკოლებისა და ქართული ენის მოკვლასაც შეეცდებოდნენ.

ქართული სკოლების ბედზე, უფრო სწორად, უბედობაზე აფხაზეთში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენგან შორს, ენგურს გაღმა არიან, ქართულმა საზოგადოებამ ბევრად უფრო მეტი იცის, ვიდრე გამოღმა გამოდევნილი სკოლების ბედსა თუ უბედობაზე. ძნელი სათქმელია, რისი ბრალია ეს, ჩვენი უგულისყურობის თუ ტრადიციული ქართული არხეინობის, დევნილი სკოლები ხომ სამშვიდობოს არიან, აფხაზური წნეხი და რუსული ჩექმა ვერ წვდებათ: აფხაზური წნეხი, რომელმაც უხეში ფიზიკური ძალით აფხაზეთში ქართული სკოლები დახურა და ქართულად სწავლა აკრძალა; რუსული ჩექმა, რომელმაც იქ არაერთი ქართული სკოლის შენობა გადათელა, ჯერ სადგომად გამოიყენა, მერე კი ფიზიკურად გაანადგურა. მაგალითისთვის მხოლოდ თაგილონის საუკუნოვანი სკოლის ხის შენობაც იკმარებდა, რომელიც რუსმა "მშვიდობისმყოფელებმა" ფიცარ-ფიცარ დაშალეს ზამთარში, ღუმელს შეუკეთეს.

დიახ, ჩვენ კიდევ უამრავი მსგავსი მაგალითი ვიცით იმაზე, რაც სხვებმა გაგვიფუჭეს, გაგვინადგურეს, მაგრამ გავურბივართ ლაპარაკს იმაზე, რის მოვლა-პატრონობაზეც თავად არ ვზრუნავთ, გულგრილობას ვიჩენთ. სამწუხაროდ, ამგვარ მიდგომაში საკუთარი თავი შეიძლება ვამხილოთ ენგურს გამოღმა გამოდევნილი სკოლებისადმი. სკოლებისადმი, რომელთა არსებობა, გარდა იმისა, რომ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ათიათასობით დევნილისთვის ხშირ შემთხვევაში, სასიცოცხლოდ აუცილებელი, ღრმა ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელი ფაქტია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში ამჟამად 30 სკოლაა და ისინი თბილისში, სენაკში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბორჯომში, ფოთში, ჯვარში, კოდორის ხეობაში არიან განთავსებულნი. ამ სკოლებში 580 მასწავლებელი ასწავლის და 3553 მოსწავლე სწავლობს.

ცალკე საუბრის თემაა კოდორის ხეობის 9 სკოლა, რომელთაგან 3 საშუალოა და 6 დაწყებითი. დევნილი სკოლებისაგან განსხვავებით, ისინი საკუთარ ტერიტორიაზე არიან და მშობლიურ გარემოს არ არიან მოწყვეტილნი, რაც, ბუნებრივია, მათთვის დიდი სულიერი საყრდენია. ცხადია, ეს იმ გმირული შემართების წყალობაა, რამაც ეს ხეობა საქართველოს შეუნარჩუნა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს წყალობა ამ სკოლების დღევანდელ ფიზიკურ მდგომარეობაზეც იყოს ასახული. ისინიც ისევე უმძიმეს ყოფაში არიან, როგორც საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილი და სამადლოდ, სხვათა შენობებს შეფარებული სკოლები. კოდორის ხეობის თითქმის ყველა სკოლა შესაკეთებელია და სასწავლო ინვენტარის ნაკლებობას უჩივის, მაგრამ მათ ფონზეც განსაკუთრებით მძიმე დღეშია გენწვისის საშუალო სკოლა, რომელიც 1936 წელს ამ სოფლის უხუცესებს აუშენებიათ. ზოგმა ხარი გაიღო თურმე, ზოგმა - ძროხა, ზოგიც თვითონ მონაწილეობდა მშენებლობის პროცესში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სკოლა, რომელშიც სოფელ გენწვისის გარდა, კოდორის ხეობის მთელი ზედა ზონის სოფლების - საკენის, გვანდრას, ომარიშარას, ხუტიას, მარჯვენა გენწვისის დაწყებითი სკოლების ბავშვებიც იყრიან თავს, პერიოდულად რემონტდებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა, როგორც ამბობენ, ის საერთოდ არ ექვემდებარება რემონტს, ახალი უნდა აშენდეს. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ უკვე მიმართა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს გენწვისის საშუალო სკოლისთვის ახალი შენობის აშენების თხოვნით. სსიფ-ი ამ თხოვნის შესრულებას მომავალი წლისთვის გეგმავს. იმედია, სამომავლოდ კოდორის ხეობის სხვა სკოლებსაც გამოუჩნდებათ მზრუნველი, მით უმეტეს, რომ ყინული თითქოს დაიძრა და პარლამენტში ლაპარაკი მაინც დაიწყეს კოდორი-ხაიშის გზის მონაკვეთის შეკეთებაზე. გზისა, რომელსაც მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ გზას. თუ ეს გზა შეკეთდა, ხეობასთნ კონტაქტი ბევრად უფრო გააქტიურდება და, შესაბამისად, სკოლების შეკეთებაზე ოცნებაც უფრო რეალობათა სფეროში გადმოინაცვლებს. ერთი სიტყვით, თუ კოდორის ხეობის სკოლების ბედი, ლოგიკური განსჯის მიხედვით, იმედს მაინც ბადებს, ამას ვერ ვიტყვით, უშუალოდ დევნილ სკოლებზე, რომელთაც არც დღეს ულხინთ და არც მომავალში უჩანთ სასიკეთო პერსპექტივა, თუ მათდამი დღეს არსებული მიდგომა შენარჩუნდა.

არადა, მათ არსებობას, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, უდიდესი ფსიქოლოგიურ-მორალური დატვირთვაც აქვს. თავის დროზე, დევნილი სკოლები დევნილთა კომპაქტური დასახლებების მიხედვით განათავსეს თბილისში, სენაკში, ქუთაისში, ბორჯომში, ფოთში, ჯვარში, ზუგდიდში....

ჯერ ერთი, ეს ნიშნავდა ამა თუ იმ კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ბავშვებისათვის ისედაც მძიმე ყოფის ცოტათი მაინც შემსუბუქებას, მათ შორის არ მოუწევდათ სიარული; მეორეც, გათვალისწინებულ იქნა დევნილთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაც, მშობლიურ ადგილებსა და გარემოს მოწყვეტილ ადამიანებს ერთად ყოფნით მძაფრი ნოსტალგიისა და ტკივილის დაძლევის შესაძლებლობა ეძლეოდათ; მესამეც, დევნილი სკოლები ენგურს გაღმა შექმნილ საუკუნოვან ტრადიციებს შეინარჩუნებდნენ და განავითარებდნენ. და კიდევ: ეს სკოლები იყო, ასევე, სიმბოლური გამოხატულება იმ პოლიტიკისა, რომ აფხაზეთის ქართველობა სწორედ იმ საუკუნოვანი ტრადიციებითა და თანაცხოვრებით შეკრული მყარი, ერთიანი ფენომენია, რომელიც დანარჩენ სივრცეში არ აითქვიფა და ყოველ წუთს მზად არის შინ დასაბრუნებლად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი სალომე კაპანაძე: **"აფხაზეთის დევნილი სკოლების ბედი არ უნდა განიხილებოდეს ჩვეულებრივად. მათი ამოქმედება დევნილთა კომპაქტურმა ჩასახლებებმა განაპირობა. იქ, სადაც 6 ათასამდე დევნილი ცხოვრობს, თანაც გარიყულად, ბუნებრივია, აუცილებელი ინფრასტრუქტურაც უნდა არსებობდეს. ხშირ შემთხვევაში, ბავშვებს ადგილობრივი სკოლებიც ვეღარ იტევენ. გარდა ამისა, არსებობს მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებიც: ამ სკოლებში დასაქმებულმა პედაგოგებმა პროფესიული უნარ-ჩვევები შეინარჩუნეს. მიუხედავად მძიმე სოციალური ყოფისა, ბევრი მათგანი თავისი პროფესიული ღირსებით არაფრით ჩამოუვარდება სხვა პედაგოგებს. ბოლოს და ბოლოს, ამ სკოლებში დევს "აფხაზეთის ხატი" და ამ ბავშვებმა კარგად იციან, საითკენ უნდა მიმართონ მომავალში თავიანთი ცოდნა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგან, სადაც ეს შესაძლებელია, დევნილი სკოლების ადგილობრივ სკოლებთან ინტეგრაციის პროცესსაც არ გამოვრიცხავთ."**

თავის დროზე, დევნილი სკოლების თუ სხვა დევნილი დაწესებულებების შენარჩუნება ენგურს გამოღმა, ეს ის ერთადერთი მყარი პოზიცია თუ იდეოლოგია აღმოჩნდა, რომელიც ქართულმა პოლიტიკამ აფხაზეთში გაბატონებულ აფხაზურ-რუსულ აგრესიას, იმ ძირძველი ქართული მიწიდან ყოველივე ქართულის ამოძირკვის იდეოლოგიას დაუპირისპირა. სამწუხაროდ, დღემდე ამაზე მეტი ვერაფერი შევძელით და ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ. და თუ ეს პოზიციაც თანდათან შეგვისუსტდა და ვერაფრით გავაძლიერეთ, არსებული თუ მოსალოდნელი ტრაგედიების გამო, პასუხი ყველა დროის ხელისუფლებას თანაბრად მოეთხოვება.

განვლილი 13-14 წლის განმავლობაში აფხაზური მხარის ერთ-ერთი დაუცხრომელი მიზანი ჩვენი ამ ერთად ყოფნის, რომელიც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (ცხადია, მათ შორის მოიაზრება დევნილი სკოლებიც) მოშლაც იყო. სხვა საკითხია, რამდენად ვაძლიერებდით ამ სტურქტურებს პოლიტიკურად თუ მორალურად. ნებისმიერი პასუხი ამ კითხვაზე, მაინც არ არის მისი უარყოფითად გადაწყვეტის დასტური. მიზეზი ჩვენსავე თვში უნდა ვეძიოთ და სხვა გზა არცა გვაქვს, უკეთესობისკენ უნდა შევიცვალოთ. აფხაზური მხარე ოთხმხრივ, სამმხრივ თუ ორმხრივ შეხვედრებზე ყველგან ამ სტრუქტურების დაშლას მოითხოვდა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად მისი განხორციელების დაუოკებელი სურვილისა, სანაცვლოდ მაინც რეალურად არაფერს გვთავაზობდა, ერთ მისხალსაც არ თმობდა.

დავაკვირდეთ, ქართული სკოლები გალის რაიონში დღეს უფრო მძიმე დღეში არიან, ვიდრე გუშინ იყვნენ. საქართველოს ხელისუფლების იმედი, რომ "ქართველების სიძე" და "აფხაზების ახალი პრეზიდენტი" ბაგაფში გალის რაიონში ქართული სკოლებისა და ქართული ენის მიმართ ლოიალობას გამოიჩენდა, არ გამართლდა. მოხდა პირიქით, გალის რაიონის სკოლებში უფრო მეტად იზღუდება ქართული ენისთვის, როგორც ერთ-ერთი უცხო ენისთვის, დათმობილი საათები. აფხაზმა "ბოევიკებმა" გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლების ქართული სკოლების დარბევას მოუხშირეს, მაგალითისთვის ქვემო ბარღების საშუალო სკოლის შენობის ფასადზე აქამდე შემორჩენილი ქართული წარწერის - "და შენც ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო" - განადგურების ფაქტიც იკმარებდა. აფხაზმა "ბოევიკებმა" არც ამ წარწერის დასაცავად გამოსული ქართველი პედაგოგები დაინდეს, ისინი სასტიკად სცემეს.

საერთოდ, გალის რაიონის ქართველი პედაგოგების ძალისხმევა საგანგებო განსჯის საგანი უნდა იყოს ჩვენს სინამდვილეში, ისინი უმეტესად ფარულად, საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ფასად ასწავლიან ქართველ ბავშვებს ქართულად წერა-კითხვას და საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიას.

სხვათა დადანაშაულება იოლია, მაგრამ რა გვაქვს გალის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეხუთეკლასელის მოქმედების პასუხად, როცა მან მასწავლებლის მიერ მიცემულ საკლასო თავისუფალ თემაშიც კი - "ჩემი პრეზიდენტი" - არ დათმო პოზიცია და აფხაზეთში მყოფმა, თავის პრეზიდენტად სააკაშვილი დაასახელა და არა ბაგაფში. მართალია, ერთმა მასწავლებელმა მას ამ "თავხედობის" გადათქმა მოსთხოვა (თუ არადა, ენგურს გაღმა მიბრძანდიო), მაგრამ სინამდვილეში, ვინ იცის, რომ მის თავგამოდებას რომელიმე სხვა მასწავლებლის პატრიოტული შეგონებანი თუ შესაბამისი ჩუმი წაქეზებანი არ კვებავდა?

სამწუხაროდ, ჩვენ გამოღმა მეტნაკლები სიმშვიდით ვისმენთ მათი მშფოთვარე და ყოველდღიური საფრთხით სავსე ცხოვრების ეპიზოდებს და თავში აზრადაც არ მოგვდის, ვეძებოთ მათთვის დახმარების გზები, რომელიც, სხვათა შორის, მხოლოდ ენგურს გაღმა არსებული სკოლებისთვის დახმარებას როდი გულისხმობს.

და მაინც, როგორ?

დაბა ჯვარიდან სოფელ ანაკლიამდე გაწოლილ მდინარე ენგურზე უამრავი ბეწვის თუ რკინა-ბეტონის ხიდია, არაერთი ფონიც. ამ ხიდებთან თუ ფონებთან დილა-შუადღისას მოხვედრილი კაცი კი საოცარ სურათს წააწყდება: საგანგებოდ გამოპრანჭული ბავშვები დიხაზურგიდან, თაგილონიდან, ოტობაიიდან, ნაბაკევიდან, ბარღებიდან, ფიჩორიდან ყოველ დილით ენგურზე გადმოდიან და ზუგდიდის რაიონის ენგურისპირა სოფლებში - ზედა ეწერში, შამგონაში, ორსანტიაში, ხურჩაში და სხვაგან განთავსებულ დევნილ სკოლებში დადიან. სკოლები სახლთან ახლოს აქვთ, ისინი კი მაინც გამოღმა მოდიან... რა ქნან მშობლებმა, გამოღმა არსებობის წყარო ვერ მოიძიეს, სახლ-კარის 2-3-ჯერ გადაწვის შემდეგ მაინც შინ დაბრუნდნენ. შინ კი... ბევრი ვერ იმეტებს შვილს გაუცხოებისთვის, არ უნდა, მისმა მემკვიდრემ რუსულად ისწავლოს, ქართული ცნობიერება დაენგრეს, მანქურთად იქცეს. ეს არის აფხაზეთის წართმევიდან დღემდე მიმდინარე განუწყვეტელი ბრძოლის პროცესი, ბრძოლისა, რომელიც გამოღმა ბევრ ვინმეს კარგა ხნის დასრულებული ჰგონია. არადა, ამ განუწყვეტელი ბრძოლის აუღიარებელი გმირები არიან ის ბავშვებიც, რომლებიც წლების განმავლობაში იმ ავად დამუხტულ სინამდვილეში, როცა ხშირად მათ თვალწინაც კლავენ და აყაჩაღებენ ადამიანებს, მაინც ერთგულად მოუყვებიან ენგურსგამოღმა მდებარე სკოლებისკენ მიმავალ გზას. სკოლებისკენ, სადაც მშოლიური მასწავლებლები, მეგობრები და თუნდაც რამდენიმესაათიანი მშვიდი გარემო ეგულებათ.

ეს არის შეურიგებლობა იმ სინამდვილესთან, რასაც მათ იქ სთავაზობენ და ამ შეურიგებელთა რიცხვისთვის ხვალ თუნდაც ერთი ბავშვის გამოკლება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი - გამოღმა მყოფთა დანაშაული იქნება. ამიტომაც ამ პრობლემას საგანგებოდ დაფიქრება სჭირდება, საგანგებო გზების გამოძებნა. იქნებ, უცებ, სპონტანურად ასეც გვეფიქრა: ენგურის პირას მდებარე დევნილი სკოლები გაგვეძლიერებინა. ან იქნებ, მდინარე ენგურიდან ამ სკოლებამდე სპეციალური მარშრუტის ავტობუსები დაგვენიშნა. ან სულაც, თუ კიდევ დიდხანს მოგვიწევს დაბრუნების ილუზიით ცხოვრება, ენგურთან ახლოს ახალი სკოლები აგვეშენებინა. ამგვარი მიდგომით ჩვენ მეტ ქართველ მოზარდს გამოვგლეჯდით აფხაზურ უხეშ ძალას თუ იდეოლოგიას, რომელიც დღემდე აშკარად გვჯობნის. ამის დასტურია ის ტენდენციაც, რომელიც მხოლოდ წლეულს გამოიკვეთა: რამდენიმე გალელმა ქართველმა მოზარდმა სოხუმის უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა. ნუ დავაბრალებთ ამას იმ მოზარდების მშობლებს, რომელთაც არჩევანის უფლება აღარ დარჩათ, პასუხისმგებლობის რაღაც წილი თავის თავზე უნდა აიღოს იმ ქვეყნის ხელისუფლებამაც, ვისი მოქალაქეებიც ისინი ჯერ კიდევ არიან.

## სტუდენტები მშვიდობიანი საქართველოსთვის

ლელა მარგიანი

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი "ახალი ინიციატივა" საქართველოს სტუდენტობას მოუწოდებს, გაერთიანდნენ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში.*

სამედიცინო უნივერსიტეტის ოცდაათამდე სტუდენტი, რომლებიც თსსუ-ს სტუდენტური კავშირის "ახალი ინიციატივის" ძირითად ბირთვს შეადგენენ, ცოტა ხნის წინ ახალი წინადადებით გამოვიდნენ. ისინი საქართველოს სტუდენტობას მოუწოდებენ, გააერთიანონ ძალისხმევა საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში.

სტუდენტმა მედიკოსებმა დაიწყეს პროექტის - "სტუდენტები მშვიდობიანი საქართველოსთვის" - განხორციელება. პროექტის ფარგლებში პირველი ღონისძიების მასპინძლებიც თავად ისინი იყვნენ.

ამ მიზნით, "ახალი ინიციატივის" წევრებმა სამედიცინო უნივერსიტეტში მიიწვიეს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი "თეთრი ტალღა" სპექტაკლით "გამარჯობა, სოხუმო".



სპექტაკლი სამედიცინო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. მიუხედავად "ჩვეული", გაუთვალისწინებელი პრობლემისა (სპექტაკლის დაწყებამდე დარბაზში შუქი ჩაქრა), სპექტაკლის სანახავად მისულ სტუდენტობას დარბაზი არ მიუტოვებია.

მოულოდნელი სიტუაციით აღელვებულმა პროექტის ინიციატორმა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა ირაკლი გვილავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სტუდენტური კავშირის პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში. ამ მიზნის განხორციელებას კი სტუდენტური სამშვიდობო პროექტების შესრულებით აპირებენ.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მსურველ მომავალ ექიმებს იმედი აქვთ, რომ მათ ინიციატივას სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც გამოეხმაურებიან, ისინი კი კოორდინაციას გაუწევენ პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსების მოძიებას. ამ საქმეში სტუდენტებს საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომის იმედი აქვთ.

**"გვინდა, ჩვენი ინიციატივა სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის მისაბაძი გახდეს. გვინდა, რომ იქაც მოვიძიოთ ისეთი ადამიანები, ვინც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში ჩაერთვება. ვფიქრობთ, გაერთიანებული და გააქტიურებული სტუდენტობა თავის სათქმელს ნამდვილად იტყვის ჩვენი სამშობლოსთვის მეტად მტკივნეული პრობლემის მოგვარებაში,"** - აღნიშნა გვილავამ.

თითქმის ორი საათის მანძილზე სამედიცინო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში მისული ახალგაზრდობა "სოხუმური" ცხოვრებით ცხოვრობდა: სოხუმის თეთრ სანაპიროზე სეირნობდა, დიდი, წითელი მზის ქოლგების ქვეშ გემრიელ, ცნობილ სოხუმურ ყავას მიირთმევდა, სასეირნო კატარღით ერთსაათიან ექსკურსიაზე გადიოდა ზღვაში და ნოდარ დუმბაძის ცნობილი მოთხრობის "ჰელადოს"-ის გმირების – ქართველი ჯემალისა და ბერძენი იანგულის - ცხოვრებით ცხოვრობდა.

სპექტაკლის მონაწილე ახალგაზრდა მსახიობებმა მაყურებელი თანატოლების ოვაციებით დაასრულეს სპექტაკლი, რომლის მთავარი სათქმელი დაკარგული სოხუმის მონატრება იყო და იმის მძაფრი განცდაც, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით სოხუმში, რადგან "სამშობლო უფრო ღრმად არის, უფრო შიგნით", რადგან ყოფილი სოხუმელები სოხუმის "წვიმებში იზრდებოდნენ", სხვაგან კი "მხოლოდ სველდებიან", რადგან "გული იქ სულ სხვაგვარად ფეთქავს და ჰაერიც უფრო გამჭვირვალეა."

მსახიობი და მაყურებელი ახალგაზრდობა ერთი იმედით დაემშვიდობა ერთმანეთს, რომ მალე აღარ უნდა არსებობდეს რეალურ ცხოვრებაში "ენგურის ხიდად", ხოლო სცენაზე "თოკად გავლებული" საზღვარი, რომლის გადალახვაც სპექტაკლის მონაწილე ახალგაზრდა დევნილმა მსახიობებმა ამჯერად ვერაფრით ვერ შეძლეს.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

# პროკრედიტ ბანკის შეტყობინება ობლიგაციების შეძენაზე საჯარო ხელმოწერის გამოცხადების თაობაზე

სს "პროკრედიტ ბანკი" ობლიგაციების განთავსების მიზნით აცხადებს დამატებით საჯარო ხელმოწერას 2005 წლის 30 ნოემბრის დილის 9 საათიდან 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათამდე.

გაიყიდება ერთი მილიონ ექვსასოცდახუთი ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრით GE 2800503072.

გასაყიდად გამოტანილი ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 (ერთი ათასი) ლარი. შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 14%-ს, ობლიგაციები გაიყიდება სადისკონტო ფასით - 886.44 (რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და 44 თეთრი) თითოეული ობლიგაციისათვის.

ობლიგაციების ნომინალური ღირებულების დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 6 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ პროკრედიტ ბანკს არაუგვიანეს 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათისა. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება პროკრედიტ ბანკში, აღმაშენებლის 154, ტელ.: 20 22 22 (2230); 20 22 22 (2060)

განთავსების შედეგები ობლიგაციების მყიდველებს ეცნობებათ ხელმოწერის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

# მოსამართლეებმა თანამდებობები დატოვეს

*"მოსამართლეთა საქმე" კვლავ გრძელდება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას არც გუშინ გამოუტანია გადაწყვეტილება. ორი კვირის წინ ხმაურიანად დაწყებული საქმის განხილვა გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო. მოსამართლეებმა და მათმა ადვოკატებმა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართეს და პროცესის ნორმალურად ჩატარებისთვის გონივრული ვადა მოითხოვეს.*

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელთა განცხადებით, სხდომის ჩატარება უკანონო და დაუსაბუთებულია, რადგან "დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის" 38-ე მუხლის თანახმად, კოლეგიის წევრი საქმეს წინასწარ სრულად უნდა იცნობდეს და განხილვას მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კოლეგიის ახალი წევრი, რომელიც საქმეში გუშინ გიორგი ჩემიას ნაცვლად ჩაერთო, 18 მოსამართლის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინარული დევნის საქმეს ჯერ არ იცნობს.

**"რაც დრო გადის, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ჩვენი ბედი უკვე გადაწყვეტილია. სერიოზულად გვეპარება ეჭვი, რომ ეს საბჭო ობიექტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იქნება... პრობლემა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ კოტე კუბლაშვილის დანიშვნის შემდეგ წამოიჭრა. მისი მხრიდან გარკვეულ საქმეებზე გავლენის მოხდენის მცდელობები იყო, რაც ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ამის შემდეგ კუბლაშვილისთვის ცხადი გახდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენთან მუშაობა, ვინაიდან ჩვენ არ ვიყავით მართვადი მოსამართლეები,"** - აცხადებს მოსამართლე დავით სულაქველიძე, რომელმაც გუშინვე უზენაეს სასამართლოში მომხდარი ფაქტიც სასამართლოზე განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლად მიიჩნია. სხვათა შორის, გუშინ, უზენაესი სასამართლოდან დათხოვნილი მოსამართლეების მაგივრადაც მერაბ ტურავა, დავით სულაქველიძე და ნინო გვენეტაძე საუბრობდნენ. საქმე ისაა, რომ უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ გუშინ საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. თანამდებობები დატოვეს მოსამართლეებმა - ნუგზარ გაბრიჩიძემ, ჯემალ გახოკიძემ, ნანა კლარჯეიშვილმა, ბესიკ კობერიძემ, ია ლეგაშვილმა და გიორგი ქაჯაიამ. გავრცელებული ინფორმაციით, საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობას დატოვებს კიდევ სამი მოსამართლე - მადონა გოგელია, ირაკლი ბიბილეიშვილი და მურმან ისაევი. **"მოსამართლეებს სურთ, დაინიშნონ ის მაღალი პენსიები, რომლებიც მათ კანონით ეკუთვნით,"** - ასეთი განმარტება მისცა მომხდარ ფაქტს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, მოსამართლეებს განცხადებები იძულებით დააწერინეს.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" უზენაესი სასამართლოს ხუთი მოსამართლის თანამდებობიდან წასვლით შეშფოთებულია და ამ ფაქტს მოსამართლეებზე განხორციელებულ მორიგ ზეწოლად აფასებს. ასოციაციის წარმომადგენლების აზრით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ "უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის" 40 (7) მუხლის თანახმად, მოსამართლეები სიცოცხლის ბოლომდე მიიღებენ პენსიას, თუ პირადი სურვილით დატოვებენ თანამდებობას და წასვლის შესახებ განცხადებას 2005 წლის 31 დეკემბრამდე დაწერენ. **"უზენაესი სასამართლოს სამი მეამბოხე" მოსამართლის - ტურავას, გვენეტაძის და სულაქველიძის განცხადებებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების ფონზე, გვაქვს ეჭვი, რომ უზენაესი სასამართლოს დანარჩენმა მოსამართლეებმა განცხადებები მათზე ზეწოლის გამო დაწერეს,"** - მიაჩნიათ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში".

*24 საათი*

# სეპარატისტთა პასუხი სამხედრო პოლიციის სპეცოპერაციაზე

პირველი გვერდიდან

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ პერიოდულად გამოჩნდებოდნენ ხოლმე რუსი სამშვიდობოების სარდალი მარატ კულახმეტოვი და ეუთო-ს მისიის წარმომადგენლები, თუმცა, სრულ ინფორმაციას გატაცებულთა შესახებ ქართულ მხარეს არც ისინი აწვდიდნენ. ბოლო ინფორმაციით, კულახმეტოვი ირწმუნებოდა, რომ ოსური მილიციის განყოფილებაში მხოლოდ პოლიციელები - თამაზ ჩიფჩიური, რაჟდენ კაპანაძე და კობა კოპალაძე დარჩნენ.

ერთი სიტყვით, ქართველების გატაცების მოტივი გამტაცებლებს ოფიციალურად არ დაუსახელებიათ. თუმცა, გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოსური მხარე გატაცებული ქართველების ვლადიმერ გუდიევში გაცვლას მოითხოვდა.

**"რატომ გაგვიტაცეს და რა მიზეზით დაგვაკავეს, ჩვენთვის არავის არაფერი აუხსნია,"** - აცხადებდნენ დღის ბოლოს გათავისუფლებული მძევლები. როგორც ისინი იხსენებდნენ, მათთვის ოსური მილიციის განყოფილებაში უთქვამთ, რომ შესრულდა მითითება-ბრძანება.

**"ეს ვანდალური აქტი გუშინდელი სპეცოპერაციის პასუხია, როცა სამხედრო პოლიციამ არცევის ოსური მილიციის უფროსის მოადგილე დააკავა ყალბი ფულის გასაღების ბრალდებით. მოვუწოდებ დე ფაქტო მთავრობას და კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოებს, დროულად გადადგან ქმედითი ნაბიჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მხარე იძულებული იქნება, დამნაშავეებს საკადრისი პასუხი გასცეს. სეპარატისტული ცხინვალის თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არიან კრიმინალები და კრიმინალების ხელშემწყობები,"** - ასე შეაფასა მომხდარი შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

რაც შეეხება ქართული სამხედრო პოლიციის მიერ დაკავებულ ვლადიმერ გუდიევს, რომელსაც ბრალი გუშინ თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში წაუყენეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის ერიკ დუდაევთან დაახლოებული პირია, ორივე ერთად კი კოკოითის გუნდის წევრად მოიაზრება. ვლადიმერ გუდიევისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დღეს სამხედრო ჰოსპიტალში გადაწყვეტს, სადაც სასამართლო პროცესი შედგება.

გუშინ, გვიან საღამოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის რეგიონში ჩავიდა. მერაბიშვილმა კარალეთში განთავსებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს სწრაფი რეაგირების ბატალიონში გამართა შეხვედრა და ქვეშევრდომებს მითითებები მისცა.

*24 საათი*

## მოკლედ

### რუსი ოფიცრები საპატიმროდან გაათავისუფლეს

ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი დაკავების იზოლატორიდან სამი რუსი ოფიცერი გაათავისუფლეს. როგორც ცნობილია, რუსი სამხედროები ქართველმა სამართალდამცველებმა 21 ნოემბერს, საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო სამხედრო ტვირთის შემოტანის ბრალდებით, ზუგდიდთან დააკავეს. რუსი ოფიცრები ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზის მოსამსახურეები არიან. ფოთის სასამართლომ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ბათუმის ბაზის ხელმძღვანელობამ ყოველ ოფიცერში ჯარიმის სახით ხუთი ათასი ლარი გადაიხადა. დაკავებულების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

ამიერკავკასიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების ხელმძღვანელობა რუსი ოფიცრების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთის გადმოტანას თავიდანვე უარყოფდა და აცხადებდა, რომ მის შემადგენლობაში მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტები იყო. **მედიანიუსი**

### თავდასხმას ოჯახის დიასახლისი ემსხვერპლა

ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთი მძიმედ დაშავდა გუშინწინ, გვიან ღამით ოზურგეთის რაიონის სოფელ წითელ მთაში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის შედეგად.

80 წლის ნადია ზაქარეიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე ნიკოლოზ გირკელიძე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ყაჩაღებმა დაზარალებულებისაგან 40 ლარი წაიღეს.

როგორც გურიის სამხარეო პოლიციის საგამოძიებო სამსახურის უფროსი ბადრი ტრაპაიძე აცხადებს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე მიმდინარეობს. "გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ ვერაფერს დავაკონკრეტებთ, მაგრამ რამდენიმე ადამიანი დაკავებულია და ვიმედოვნებთ, რომ საქმე გაიხსნება", - აცხადებს ტრაპაიძე.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, პოლიცია შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდა. **ინტერპრესნიუსი**

### თემურ კაჭარავას მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

13 ნოემბერს თემურ კაჭარავასა და მის მეგობარს სანკტ-პეტერბურგის ცენტრში 10-მდე ახალგაზრდა დაესხა თავს, რის შედეგადაც მრავლობითი ჭრილობებით კაჭარავა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი მაქსიმ ზგიბაი ქალა-ტვინის ტრავმისა და მკერდის არეში მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, ეჭვმიტანილები პეტერბურგში ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად სამშაბათს დააკავეს. სამართალდამცავთა მონაცემებით, კაჭარავაზე თავდასხმაში 11 ადამიანი მონაწილეობდა. ხუთი დაკავებულიდან ოთხმა თავდასხმაში მონაწილეობა აღიარა, თუმცა განაცხადეს, რომ დანით მიყენებული ჭრილობები მათ არ ეკუთვნით. პროკურატურა თავდასხმის სხვადასხვა ვერსიას განიხილავს. ვერსიებს შორის ეროვნული შუღლის მოტივიც სახელდება. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს გათბობა-კონდიცირებისა და ვენტილაციის დანადგარების შესყიდვაზე და თანამდევ მომსახურეობაზე

| N | მომსახურეობის დასახელება | მოსაწოდებელი საქონლის რაოდენობა, სპეციფიკაციები | მომსახურეობის გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|
| ლოტი N1 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,8 კვტ (180 კუბმ) 2 ერთეული; 3. გაზის გამათბობელი 2,5კვტ - 4 ერთეული; გაზის გამათბობელი 5კვტ - 2 ერთეული; | ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.N2 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N2 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,8 კვტ (180 კუბმ) 3 ერთეული; 3. გაზის გამათბობელი 2,5კვტ - 4 ერთეული; გაზის გამათბობელი 5კვტ - 3 ერთეული; | ქ. თბილისი, აბაშიძის ქ.N60 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N3 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,8 კვტ (180 კუბმ) 3 ერთეული; 3. გაზის გამათბობელი 2,5კვტ - 4 ერთეული; გაზის გამათბობელი 5კვტ - 3 ერთეული; | ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ.N34 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N4 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,8 კვტ (180 კუბმ) 1 ერთეული; 3. გაზის გამათბობელი 2,5კვტ - 7 ერთეული; | ქ. მარნეული, რუსთაველის ქ.N70 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |
| ლოტი N5 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,3 კვტ (120 კუბმ) 2 ერთეული, ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,0 კვტ (90 კუბმ) 3 ერთეული | ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.N4 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა |
| ლოტი N6 | 1. ვენტილაციის გამწოვი სისტემის მონტაჟი; 2. გათბობის და კონდიციონერების ("ზამთარი-ზაფხული") მონტაჟი. 3. ბ/აირზე მომუშავე გამათბობლების მონტაჟი. | 1. ვენტილაციის სისტემა; 2. ზამთარ-ზაფხული კონდენციონერი 1,8 კვტ (180 კუბმ) 2 ერთეული; 3. გაზის გამათბობელი 2,5კვტ - 3 ერთეული; 5კვტ - 3 ერთეული. | ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქ.N158 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა. |

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 21-22 დეკემბერს, 18 საათამდე, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გმზ. N30, ოთახი N96 ტელ. 758291.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

. 1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი N62ა, **2005 წლის 23-24 დეკემბერს, 1800 საათამდე.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-82-91, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 97.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

სახე საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა.ფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

# "ბალტიკა" ლიდერობას საქართველოშიც ეუფლება



**რუსულ ლუდსახარშ კომპანია "ბალტიკას" საკუთარი პროდუქციის მრავალფეროვნებითა და მაღალი ხარისხით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს დამკვიდრებული გამორჩეული ადგილი. "ბალტიკა" არა მხოლოდ საუკეთესო რუსული პროდუქტია, მას ნომერ პირველად აღიარებენ ევროპის მრავალ ქვეყანასა და დსთ-ში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის უცხოურ ბაზარზე თავს მყარად გრძნობს. ამის გამოა, რომ "ბალტიკა" ლუდის კონკურსებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებზე მუდამ ლიდერი და გამარჯვებულია.**

სულ ახლახანს "ბალტიკამ" კიდევ ერთი სამამულო აღიარება შემატა საკუთარ წარმატებათა გრძელ სიას. ის 2005 წლის 29 ნოემბერს მოსკოვში გამართული კონკურსის "წლის პროდუქტის " გამარჯვებული გახდა. ცნობისათვის, რუსეთში ყველაზე გაყიდვად და პოპულარული რუსული პროდუქტის რეიტინგს ეროვნული სავაჭრო ასოციაცია ადგენს მასობრივი გამოკითხვის საშუალებით. ნომინაციაში "ლუდი" - ყველაზე პრესტიჟული რუსული ჯილდო სამომხმარებლო პროდუქტის სფეროში, მეშვიდედ მიიღო ლუდსახარშმა კომპანიამ "ბალტიკა" ლუდისთვის "ბალტიკა N3 კლასიკური". ეს ლუდი 1992 წლიდან გამოდის და სამართლიანად ითვლება ყველაზე ეროვნულ ლუდად რუსეთში.

რამდენიმე დღით ადრე "ბალტიკა" მორიგი ჯილდოს მფლობელი ხდება ყაზახეთში. 23 ნოემბერს ალმა-ატაში გაიმართა კონკურსი "წლის არჩევანი ყაზახეთში 2005" საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი, რომლის გამარჯვებულიც რუსული ლუდსახარში კომპანია "ბალტიკა" გახდა.

"ბალტიკას" უდაო წარმატება ელის საქართველოშიც, სადაც მომხმარებელი ხარისხის გამო არჩევანს სწორედ, მასზე აკეთებს. ერთწლიანი წყვეტის შემდეგ, 2005 წლის ივნისში, ლუდის მწარმოებელმა კომპანია "ბალტიკამ" საქართველოში პროდუქციის შემოტანა განაახლა. მაშინ კომპანიამ ჩვენს ქვეყანაში 25 ათასი დალი (დეკა ლიტი) ლუდი "საპილოტო მოწოდებით" შემოიტანა. ამით ქართველმა ლუდისმოყვარულებმა კომპანიისაგან სერიოზული საჩუქარი მიიღეს. **"ბალტიკა უალკოჰოლო" N0, "ბალტიკა კლასიკური" N3, "ოქროს ბალტიკა" N5, "ბალტიკა საექსპორტო" N7, "ბალტიკა მაგარი" N9** - სპეციალური გაფორმებით, **"არსენალნოე"** - "ნამდვილი მამაკაცური ხასიათის ლუდი", **"მედოვოე", "ლენინგრადსკოე"** და **"კარლსბერგი"** ქართული ბაზრის დახლებს იკავებს და მომხმარებლისთვისაც ახლა უფრო ხელმისაწვდომია.

"ბალტიკას" მრავალფეროვანი პროდუქცია ქართველი მომხმარებლის დიდი ყურადღებით სარგებლობს, ამიტომაცაა, რომ ბარებსა თუ სუპერმარკეტებში ყველაზე მეტი მომხმარებელი იქ შეიმჩნევა, სადაც "ბალტიკას" ლუდია წარმოდგენილი. ვაჭრობის ქსელის თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ ლუდის სეზონის დაწყებასთან ერთად მომხმარებლის მოთხოვნა "ბალტიკასადმი" ერთიორად მოიმატებს და მათაც მოემატებათ სამუშაო. მანამდე კი იმ მომხმარებელს შესთავაზებენ "ბალტიკას" რამდენიმე სახეობის ლუდს, ვისაც ლუდი ყველა სეზონში უყვარს. Aსეთები კი არც თუ იშვიათია.

**ვასილ ბალახაძეს** უკვე ველარ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება "ბალტიკას" გარეშე უყუროს ფეხბურთს ან ეწვიოს ტოტალიზატორს. *"ალბათ იმიტომ, რომ "ბალტიკა" საუკეთესო განწყობას მიქმნის, მაძლევს საშუალებას, ვისიამოვნო საყვარელი სანახაობით. ზოგადად "ბალტიკას" პატივს ვცემ, მაგრამ გამორჩეულად მიყვარს "არსენალნოე",* -- ამბობს იგი.

ერთ-ერთი თბილისური რესტორნის ადმინისტრატორის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც მათ რესტორანში "ბალტიკა" შევიდა, მომხმარებელმა სხვა ლუდები ფაქტობრივად, დაივიწყა. მასზე დიდი მოთხოვნილება რესტორნის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს ლუდის რეალიზაციისა და მომხმარებლის გემოვნების დაკმაყოფილების პრობლემა მარტივად გადაწყვიტოს.

**მანანა მამისაშვილი**: *"ლუდის მოყვარულად თავს ნამდვილად არ ვთვლი, იშათად ვსვამ, ისიც მაშინ, თუ მეგობრების წრეში აღმოვჩნდები. "ბალტიკა" ამ ზაფხულს გავსინჯე და ძალიან მომეწონა. ახლა თუ "ბალტიკას" არ მთავაზობენ, საერთოდ ვამბობ უარს ლუდის დალევაზე. მეგობრები მანებივრებენ -- "ბალტიკა N5" ჩემთვის ყოველთვის გადანახული აქვთ".*

**პაატა მერაბიშვილი**: *"ბალტიკა" მართლაც კარგი ლუდია. სულ რამდენჯერმე დავლიე და მივხვდი, რომ რაღაც განსხვავებული იყო. ახლა ზამთარია და ამიტომ ლუდს მაინცდამაინც არ ვსვავ, მაგრამ ზაფხულში "ბალტიკას" ხშირად გავუსინჯავ გემოს".*

**ალექსანდრე იაკობაშვილი:** *"ლუდის გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება. თუმცა "ბალტიკას" დალევის შემდეგ მივხვდი, რომ ნამდვილი ლუდი აქამდე არ გამესინჯა. მიხარია, "ბალტიკა" კვლავ რომ შემოდის საქართველოში და ჩვენც გვეძლევა ნამდვილი ლუდის დალევის საშუალება. ყველა მომწონს, მაგრამ უპირატესობას "ბალტიკა კლასიკურს" ვანიჭებ."*

ამ მცირე გამოკითხვიდანაც ირკვევა, რომ "ბალტიკა" საქართველოშიც ეუფლება ლიდერობას. "ბალტიკას" პროდუქციის ხარისხი, რომელიც ლუდის ხარშვის მრავალწლიან გამოცდილებას ემყარება, სტრუქტურული შემადგენლობა, ადგილობრივ თუ მსოფლიო ბაზარზე ფლაგმანის პოზიცია და ამ პოზიციის გამყარების ტენდენცია, მას ევროპული ტიპის კომპანიათა რიგებში აყენებს, ეს კი კომპანიისადმი მომხმარებლის ნდობის მყარი გარანტია და წარმატების რეალური საფუძველია. მისი ქარათული წარმატების საფუძველიც სწორედ, ეს პრინციპებია.

# თხოვნა დაინტერესების გამოხატვის შესახებ

საქართველო
ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმო
ინფრასტუქტურა
საკონსულტაციო მომსახურებები
პროექტის საიდენთიფიკაციო N.: P09885

ეს თხოვნა დაინტერესების შესახებ მოყვება ამ პროექტის ძირითადი შესყიდვის შეტყობინებას, რომელიც 2005 წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთში "United Nations Development Business".

საქართველოს მთავრობამ ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმოს დაფინანსებისათვის მიმართა მსოფლიო ბანკს და აპირებს მიღებული თანხის ნაწილი გამოიყენოს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებული პროექტის საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებლად. ეს SPN ეხება უსაფრთხოების საკითხებს.

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (პროექტი) ითვალისწინებს მდინარე ენგურზე კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის დადგმული სიმძლავრე იქნება 700 მგვტ და წლიური გამომუშავება 1.66 ტრილიონი კვტსთ (პროექტის თავდაპირველი მონაცემები). კაშხალი განთავსებული იქნება ვიწრო ხეობაში, 32 კმ ზემოთ უკვე არსებული ენგურისჰესიდან, რომლის მშენებლობა 1980 წელს დასრულდა.

ხუდონჰესის მშენებლობა დაიწყო 1979 წელს და შეწყდა 1989 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. იმ დროისათვის პროექტი მოიცავდა 201.5 მ სიმაღლის თაღოვან კაშხალს და მასთან დაკავშირებულ სხვა ნაგებობებს. როდესაც მშენებლობა შეჩერდა, 1989 წელს სამუშაოები, რომლებიც უკავშირდებოდა მისასვლელ გზებს და კაშხლისა და ელექტრომოწყობილობების მოსამზადებელ სამუშაოებს, სრულად ან ნაწილობრივ დასრულებული იყო. თუმცა, ბევრი სამუშაოები და სტრუქტურები მის შემდეგ სერიოზულად დაზიანდა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განვითარებაზე, იწვევს კვალიფიკაციის მქონე შესაბამის საკონსულტაციო ფირმებს გამოხატონ თავიანთი დაინტერესება პროექტთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებით. უსაფრთხოების გამოკვლევა დაწყვილებული იქნება პროექტის ტექნიკურ შესწავლასთან, რომელსაც განახორცილებს საკონსულტაციო ფირმა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული იმ ფირმასთან, რომელიც იმუშავებს უსაფრთხოების საკითხებზე. უსაფრთხოების სამუშაოს ძIრითადი ელემენტები იქნება გარემოზე და სოციალური ზეგავლენის ანალიზის განვითარება და ზემოქმედების მართვის გეგმები. აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის საკითხები. კაშხლისა და ჰესის შესაძლო მშნებელობა მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლებას.

საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "კონსულტანტების შერჩევა მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ" (ახლანდელი გამოცემა) მოცემული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ საკონსულტაციო ფირმებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე სამუშაო დღეებში, სამუშაო საათების განმავლობაში ე.ი. 09.00-დან 17.00-მდე.

დაინტერესების გამოხატვა შეიძლება მიაწოდოთ 2006 წლის 16 იანვრამდე ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

**ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი**
**პროექტის მომსახურე ორგანიზაციის დირექტორს**
**ბ-ნ თეიმურაზ ჯუღელს**
**საქართველო, თბილისი**
**ბარათაშვილის ქ. N 2**
**ტელ.: 995 32 923 483**
**ფაქსი: 995 32 923 482**
**ელ. ფოსტა: tjugeli@pso.ge**
**jakhalaia@pso.ge**

# თხოვნა დაინტერესების გამოხატვის შესახებ

საქართველო
ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმო
ინფრასტუქტურა
საკონსულტაციო მომსახურებები
პროექტის საიდენთიფიკაციო N.: P09885

ეს თხოვნა დაინტერესების შესახებ მოყვება ამ პროექტის ძირითადი შესყიდვის შეტყობინებას, რომელიც 2005 წლის 2 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთში "United Nations Development Business".

საქართველოს მთავრობამ ინფრასტრუქტურის წინა-საინვესტიციო საწარმოს დაფინანსებისათვის მიმართა მსოფლიო ბანკს და აპირებს მიღებული თანხის ნაწილი გამოიყენოს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებული პროექტის საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებლად.

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (პროექტი) ითვალისწინებს მდინარე ენგურზე კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის დადგმული სიმძლავრე იქნება 700 მგვტ და წლიური გამომუშავება 1.66 მლრდ კვტსთ (პროექტის თავდაპირველი მონაცემები). კაშხალი განთავსებული იქნება ვიწრო ხეობაში, 32 კმ ზემოთ უკვე არსებული ენგურისჰესიდან, რომლის მშენებლობა 1980 წელს დასრულდა.

ხუდონჰესის მშენებლობა დაიწყო 1979 წელს და შეწყდა 1989 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. იმ დროისათვის პროექტი მოიცავდა 201.5 მ სიმაღლის წყალსაგდებიან თაღოვან კაშხალს, ქვედა წყალსაშვებს, შემოვლით გვირაბს, ზღუდარს, წყალმიმღებს და სადაწნეო წყალსატარს, ჰესის მიწისქვეშა შენობას, ქვედა ბიეფის გვირაბს და 500 კვ ძაბვის გამანაწილებელ მოწყობილობასა და გადამცემ ხაზს. როდესაც მშენებლობა შეჩერდა, 1989 წელს სამუშაოები, რომლებიც უკავშირდებოდა მისასვლელ გზებს, ზღუდარებს, მდინარის გადასაგდებ გვირაბს, ჰესის მიწისქვეშა შენობის ამოთხრას, წყალმიმღებს და ზედა ბიეფის სადაწნეო გვირაბს, ჰესის შენობასთან მისასვლელ გვირაბს და კიდევ სხვა სამუშაოები სრულად ან ნაწილობრივ დასრულებული იყო. თუმცა, ბევრი სამუშაოები და ინფრასტრუქურა მის შემდეგ სერიოზულად დაზიანდა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განვითარებაზე, იწვევს მაღალი კვალიფიკაციის მქონე შესაბამის საკონსულტაციო ფირმებს გამოხატონ თავიანთი დაინტერესება ხუდონჰესის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევის ჩატარებისას საკონსულტაციო მომსახურების გაწევით. სამუშაო (პირველ ეტაპზე) მოიცავს სრულ ტექნიკურ და ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელების შესაძლებლობის შესაფასებლად. თუ გადაწყდება პროექტის განვითარება, შეიძლება საკონსულტაციო ფირმას ეთხოვოს კონტრაქტის გაგრძელება მეორე ეტაპზე, რათა შემდგომ განავითაროს დიზაინი და ტექნიკური სპეციფიკაციები და მოამზადოს შესყიდვის დოკუმენტაცია ჰესის აშენებაზე საერთაშორისო კონკურენტული ტენდერისათვის. საკონსულტაციო სამუშაოები, რომლებიც ეხება გარემოს დაცვასთან, სოციალურ საკითხებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ზომებს, უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი დავალებით ფირმას(ებ)თან რომლებიც არ უკავშირდებიან დავალებას, რომელიც აღწერილია SPN-ში.

საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში "კონსულტანტების შერჩევა მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ" (ახლანდელი გამოცემა) მოცემული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ საკონსულტაციო ფირმებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე სამუშაო დღეებში, სამუშაო საათების განმავლობაში ე.ი. 09.00-დან 17.00-მდე.

დაინტერესების გამოხატვა შეიძლება მიაწოდოთ 2006 წლის 16 იანვრამდე ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

**ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი**
**პროექტის მომსახურე ორგანიზაციის დირექტორს**
**ბ-ნ თეიმურაზ ჯუღელს**
**საქართველო, თბილისი**
**ბარათაშვილის ქ. N 2**
**ტელ.: 995 32 923 483**
**ფაქსი: 995 32 923 482**
**ელ. ფოსტა: tjugeli@pso.ge**
**jakhalaia@pso.ge**

# განცხადება ინტერესთა გამოხატვის შესახებ

საქართველოს მთავრობა 2006 წელს იწყებს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული "ინფრასტრუქტურის წინასაინვესტიციო პროექტის" (Georgia: (Infrastructure Pre-Investment Facility) განხორციელებას, რომელიც შედგება ორი კომპონენტისაგან: 1) ტექნიკური დახმარება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მომზადებაში; და 2) ტექნიკური დახმარება სატრანზიტო დერეფნის პროექტების მომზადებაში.

წინასაპროექტო მოსამზადებელ პერიოდში ენერგეტიკისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების მიერ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მომზადდა დოკუმენტი "უსაფრთხოების ჩარჩოები" (Safeguards Framework), რომელიც განიხილავს იმ პრინციპებს რომელთა მიხედვითაც მოხდება სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან მიდგომა პროექტის განხორციელების პერიოდში.

დაინტერესებულმა პირებმა აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება მიიღონ:
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში

**მისამართი: ლერმონტოვის ქ. N10**
**ტელეფონი: 98 85 29**
**ელ ფოსტა: misha.antadze@minenergy.gov.ge**
**ან ტრანსპორტის რეფორმებისა და რეაბილიტაციის ცენტრში**
**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში**
**მისამართი: თბილისი ყაზბეგის პროსპექტი NN 12**
**ტელეფონი: 99 04 61 , ელ ფოსტა: trrc@trrc.ge**



# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემაზე აუქციონის ჩატარების შესახებ

"ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

თელავის, კასპის, თიანეთის, ამბროლაურის, ცაგერის, საჩხერის, ბაღდათი-ვანის და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის მთავარი სარგებლობის ტყეკაფები.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 7 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 6 იანვარს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

აუქციონზე დასახელებული საბოლოო ფასის გადახდის მაქსიმალური ვადა განისაზვროს ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

**მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6. T46-50-08.**

| № 1 | სატყეო მეურნეობა 2 | სატყეო 3 | კვარტალი 4 | უბანი 5 | ფართობი 6 | ჯიში 7 | სიხშირე 8 | ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კმ: სამასალე 9 | საშეშე 10 | შეშა ვარჯიდან 11 | სულ 12 | ახალი გზის მშენებლობა კმ 13 | საწყისი ფასი 14 | „ბე" 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ამბროლაური | ნიკორწმინდა | 12 | 2 | 23.0 | წიფ. | III | 1047 | 770 | 189 | 2008 | 0.8 | 32469 | 6494 |
| 2 | თიანეთი | ახალსოფელი | 33 | 4 | 9.0 | * | IV | 132 | 200 | – | 332 | 0.7 | 3391 | 678 |
| | | | 56 | 7 | 7.0 | * | IV | 81 | 122 | – | 203 | – | 2078 | 416 |
| | | | 59 | 2 | 19.0 | * | IV | 117 | 176 | – | 293 | 0.5 | 3002 | 600 |
| | | | სულ | | 35.0 | * | IV | 330 | 498 | – | 828 | 1.2 | | |
| | | თიანეთი | 10 | 7,12 | 40.0 | * | IV | 355 | 320 | – | 675 | 0.5 | 8551 | 1710 |
| | | | 38 | 47 | 10.0 | * | IV | 107 | 102 | – | 209 | 0.6 | 2592 | 518 |
| | | | სულ | | 50.0 | * | IV | 462 | 422 | – | 884 | 1.1. | | |
| 3 | თელავი | ფშაველი | 37 | 10 | 8.0 | * | IV | 296 | 214 | 51 | 561 | 0.5 | 7126 | 1425 |
| | | | 37 | 5 | 7.0 | * | IV | 197 | 107 | 30 | 334 | 0.5 | 4640 | 928 |
| 4 | საჩხერე (ქვიათურის უბანი) | ვანის | 9 | 7 | 12.0 | * | II | 454 | 316 | 77 | 847 | 0.8 | 17841 | 3568 |
| | | | 1 | 5 | 7.0 | * | II | 297 | 298 | 60 | 655 | 2.0 | 12198 | 2440 |
| | | მოხვის | 16 | 29 | 6.0 | * | II | 306 | 197 | 50 | 553 | 0.5 | 11932 | 2386 |
| 5 | კასპის ს/მ | რკონის | 24 | 21 | 12.0 | წიფ | III | 99 | 137 | 24 | 260 | 0.5 | 3315 | 7616 (1523) |
| | | | | | | ნძ | | 316 | 151 | 23 | 490 | | 4301 | |
| | | | სულ | | 12.0 | | | 415 | 288 | 47 | 750 | 0.5 | | |
| | | | 35 | 1 | 5.2 | წიფ | III | 209 | 163 | 37 | 409 | 1.0 | 6512 | 1302 |
| 6 | ბაღდათი-ვანი | საირმე(ვანი) | 20 | 12 | 9.0 | წიფ | IV | 598 | 423 | 88 | 1109 | 0.5 | 14333 | 2866 |
| | | | 10 | 6 | 9.0 | წიფ | III | 648 | 317 | 96 | 1061 | 1.8 | 19467 | 3894 |
| | | | 10 | 5.7 | 17.0 | წიფ | III | 1092 | 609 | 170 | 1871 | 1.8 | 33095 | 6619 |
| 7 | ჩოხატაური | ჩოხატაური | 26 | 4 | 10.0 | წიფ | IV | 693 | 307 | 100 | 1100 | 0.8 | 16127 | 3225 |
| 8 | ცაგერი | ტვიში | 13 | 4 | 16.0 | წიფ | IV | 204 | 162 | 36 | 402 | 4.0 | 4951 | 990 |
| | | | 12 | 5 | 12.0 | წიფ | IV | 214 | 146 | 36 | 396 | 5.0 | 5127 | 1025 |
| | | ქულბაქი | 34 | 12 | 20.0 | წიფ | IV | 179 | 232 | 45 | 456 | 6.0 | 4614 | 923 |
| | | | 5 | 12 | 12.0 | ნძ | IV | 288 | 364 | 37 | 689 | 3.0 | 3201 | 5543 (1109) |
| | | | | | | წიფ | | 89 | 132 | 24 | 245 | | 2342 | |
| | | | სულ | | 12.0 | | | 377 | 496 | 61 | 934 | 3.0 | | |
| | | ქულბაქი | 8 | 5 | 14.0 | წიფ | IV | 196 | 287 | 48 | 531 | 4.0 | 5010 | 6273(1255) |
| | | | | | | ნძ | | 115 | 137 | 14 | 266 | | 1263 | |
| | | | სულ | | 14.0 | | | 311 | 424 | 62 | 797 | 4.0 | | |
| | | | 12 | 7 | 14.0 | ნძ | IV | 412 | 501 | 51 | 964 | – | 4542 | 5489(1098) |
| | | | | | | წიფ | | 37 | 46 | 9 | 92 | | 947 | |
| | | | სულ | | 14.0 | | | 449 | 547 | 60 | 1056 | – | | |
| | | ორბელი | 31 | 10 | 32.0 | წიფ | IV | 513 | 768 | 128 | 1409 | – | 13489 | 2698 |
| | | | 71 | 3 | 28.0 | წიფ | IV | 520 | 780 | 130 | 1430 | – | 13678 | 2736 |
| 9 | | სულ | | | | | | | | | | | 262134 | 52427 |

## მოკლედ

### ბალაკი და კანი "ბრიუგესთან" ითამაშებენ

გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმა - მიხაელ ბალაკმა და ოლივერ კანმა "ბაიერნის" შემადგენლობაში ვარჯიში განაახლეს.როგორც უეფას ოფიციალური საიტი აცხადებს, ორივე ფეხბურთელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ბელგიის "ბრიუგეს" წინააღმდეგ.

### მსოფლიოს ჩემპიონი 18,75 მილიონს მიიღებს

ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი გუნდი 24,5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს (18,75 მილიონი დოლარი). სულ ფიფას გადაწყვეტილი აქვს ტურნირის მონაწილეთათვის 300 მილიონი ფრანკი გაიღოს. მარტო ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის გუნდები 4,59 მილიონ ფრანკს მიიღებენ. მეორე წრეში გავარდნილი 8 გუნდი 6,5 მილიონს გამოიმუშავებს, ხოლო მეოთხედფინალის ოთხი დამარცხებული 11,5 მილიონს. ნახევარფინალის ორი უიღბლო 16,45 მილიონს დაისაკუთრებს და არაფერს მიიღებს მესამე ადგილისთვის მატჩში. ვიცე-ჩემპიონის ყულაბაში 22,5 მილიონი ჩაჩხრიალდება.

### განთესილები ცნობილია

გუშინ ფიფამ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდები კალათებში გაანაწილა. პირველ კალათაში მასპინძელი გერმანიის გარდა აღმოჩნდნენ: ბრაზილია, ესპანეთი, იტალია, არგენტინა, საფრანგეთი, მექსიკა და ინგლისი.

**მეორე კალათა შეადგინეს:** ავსტრალიამ, ანგოლამ, განამ, კოტ დ`ივუარმა, ტოგომ, ტუნისმა, ეკვადორმა და პარაგვაიმ.

**მესამე კალათა:** ხორვატია, ჩეხეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია და უკრაინა.

**მეოთხე კალათა:** ირანი, იაპონია, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა, კოსტარიკა, ტრინიდადი და ტობაგო, აშშ. სპეციალურ კალათაში სერბეთის ნაკრები აღმოჩნდა.

### 15 მაისის შემდეგ თამაში აიკრძალა

ფიფამ გამოიტანა ვერდიქტი, რომლის მიხედვით 15 მაისის შემდეგ ფეხბურთელებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლენ, თავიანთ კლუბებში თამაში ეკრძალებათ. ერთადერთი გამონაკლისი ის ფეხბრუთელები იქნებიან, რომელთა გუნდებიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავლენ. ფინალი 17 მაისს გაიმართება. "ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატზე გადაღლილი ფეხბურთელები არ გვჭირდება - განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა ურს ლინსიმ - ჩემპიონთა ლიგის ფინალი ერთადერთი გამონაკლისი იქნება".

### ტევესი - ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

არგენტინის ნაკრების ფორვარდი კარლოს ტევესი ბრაზილიის ჩემპიონატის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 21 წლის ტევესი "კორინთიანსთან" ერთად ბრაზილიის ჩემპიონი გახდა და 20 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი "კორინთიანსში" სეზონის დაწყების წინ არგენტინული "ბოკა ხუნიორსიდან" გადავიდა.

### რომარიო კარიერას არ დაასრულებს

ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანი რომარიო, რომელიც ამჟამად ბრაზილიის "ვასკუ და გამას" ღირსებას იცავს და რომელიც წელს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, არ აპირებს კარიერის დასრულებას. "ბევრი, რა თქმა უნდა, ფიქრობს, რომ დროა კარიერა დავასრულო, მაგრამ მე წასვლას არ ვაპირებ და გადავწყვიტე კიდევ ვითამაშო" - ამბობს რომარიო.

### "ლიონი" ფიფას უჩივლებს

"ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლასმა განაცხადა, რომ ფიფას საფრანგეთის სასამართლოში უჩივლებს. ამის მიზეზი ის არის, რომ კლუბის ფეხბურთელმა ერიკ აბიდალმა საფრანგეთისა და კოსტა რიკის ამხანაგური მატჩის დროს ტრავმა მიიღო და "ლიონი" ამ ტრავმის სამკურნალო საკომპენსაციო თანხას ფიფას სთხოვს. აბიდალი ამ ტრავმის გამო თებერვლამდე ვერ ითამაშებს. "ლიონის" პრეზიდენტი ფიფას ბრალს იმაში დებს, რომ მან კლუბი აიძულა ნაკრებში სათამაშოდ გაეშვა და ამის სანაცვლოდ კომპენსაცია არ გადაუხადა.

### ვან დერ ვაარტი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს

ჰოლანდიის ნაკრებისა და გერმანული "ჰამბურგის" ფორვარდი რაფაელ ვან დერ ვაარტი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. ამის მიზეზი წვივის ძვლის მოტეხილობაა, რომელიც ფეხბურთელმა გერმანიის ბუნდესლიგის მე-15 ტურის მატჩში მიიღო "კიოლნის" წინააღმდეგ.

### არიგო საკი პოსტს დატოვებს

ოჯახური მიზეზების გამო მადრიდის "რეალის" სპორტული დორექტორი არიგო საკი პოსტს სეზონის ბოლოს დატოვებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ვანდერლეი ლუშემბურგოს გადაყენების შემდეგ მიიღო. "რეალის" გუნდის პრესცენტრი აგრეთვე იუწყება, რომ საკის წასვლა არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება ლუშემბურგოს გადადგომას. 59 წლის იტალიელმა კლუბის ხელმძღვანელობა ორი კვირით ადრე გააფრთხილა, ვიდრე "ბარსა" "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალს" გაანადგურებდა - 0:3. საკიმ განაცხადა, რომ უაღრესად ბედნიერია თავის პოსტზე მოღვაწეობის გამო და წასვლამდე სურს ეს სეზონი მადრიდში ჩაამთავროს.


# მოწვევა ტენდერზე

## საქართველო
## ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი
## სატრანსფორმატორო ზეთის შესყიდვა

**ტენდერზე მოწვევის თარიღი 7.11.2005**
**კრედიტის No** 3502-GE და 3502-1GE
**IFB No**: T-0705-W-0071

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისათვის 2004 წლის 9 დეკემბერს Development Business-ში (No 645) გამოქვეყნებულ შესყიდვებზე ზოგადი განაცხადის შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან (IDA) საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის (EMSP) დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებული იქნება სატრანსფორმატორო ზეთის შესაძენად.

3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა კონკურსში იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა მათ წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები (შემოთავაზებები) 200 ტონა სატრანსფორმატორო ზეთის მოწოდებაზე.

4. შერჩევა ჩატარდება საერთაშორისო სატენდერო შერჩევის პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს ***"შესყიდვა IBRD სესხებით და IDA კრედიტებით"*** მიხედვით და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მონაწილეს, ამ სახელმძღვანელოთი განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მოყვანილ მისამართზე 09.00 დან 15.00 საათამდე სამუშაო დღეებში.

6. სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია მას შემდეგ, როდესაც მონაწილეები წარმოადგენენ წერილობით განაცხადს ქვემოთ მოყვანილ მისამართზე და ასევე გადაიხდიან 250 (ორასორმოცდაათ) ლარს ან მის ეკვივალენტს 140 (ასორმოც) აშშ. Dდოლარს. გადახდის მეთოდი არის პირდაპირი დეპოზიტი ბანკის შემდეგ ანგარიშზე:

TBC ბანკი, თბილისი, კოდი 220101830
ანგარიშის ნომერი: 35700033 ქართული ლარი
ანგარიშის ნომერი: 70070842 აშშ დოლარი
სვიფტ კოდი: TBCB GE 22
მიმღები: PSO (პროექტის მომსახურე ორგანიზაცია)

მონაწილეებს დოკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტის საშუალებით. დაინტერესებულ მონაწილეებს ელექტრონული ვერსიის მიღება შეუძლიათ E-mail-ით.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტებით ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 23 იანვარის 15.00სთ-მდე ადგილობრივი დროით. ყველა საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს 10,000 (ათი ათასი) აშშ. დოლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის საგირავნო უზრუნველყოფა (bid security). დაგვიანებით შემოსული წინადადებები უგულებელყოფილი იქნება. საკონკურსო წინადადებების კონვერტების გახსნა მოხდება ქვემოთ მოყვანილ მისამართზე 2006 წლის 23 იანვრის 15.00 სთ-ზე ადგილობრივი დროით. ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, თუ ისინი გამოხატავენ სურვილს დაესწრონ ამ ღონისძიებას.

**ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის**
**მომსახურე ორგანიზაცია**
**ბატონ თეიმურაზ ჟუღელს, დირექტორი**
**ბარათაშვილის ქუჩა 2**
**0105, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995-32) 923-483**
**ფაქსი: (995-32) 923-482**
**ელ. ფოსტა: tjugeli@pso.ge (jakhalaia@pso.ge)**

# INVITATION FOR BIDS

## GEORGIA
## ELECTRICITY MARKET SUPPORT PROJECT
## PROCUREMENT OF INSULATING OIL

***Date:*** *7.11.2005*
**Credit No:** 3502-GE and 3502-1GE
**IFB No:** T-0705-W-0071

1. This invitation for bids follows the general procurement notice for this project that appeared in Development Business, issue no. 645 of December 9, 2004.

2. Government of Georgia received credit from the International Development Association toward the cost of Electricity Market Support Project, and it intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract for procurement of Insulating (transformer) Oil.

3. The **Georgian State Electrosystem (GSE)** now invites sealed bids from eligible bidders for the supply of 200 Ton Insulating (transformer) Oil for utilizing in the infrastructure of the Georgian State Electrosystem.

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Electricity Market Support Project Service Organization and inspect the bidding documents at the address given below from 09 a.m. to 15 p.m.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee GEL 250 (two hundred fifty) or in USD 140 (one hundred forty). The method of payment will be under direct deposit on the following bank account:

TBC Bank in Tbilisi, code 220101830
Account No 35700033 Georgian GEL
Account No 70070842 USD
Swift (swift code): TBCB GE 22
Recipient: PSO (Project Service Organization)

The copy of the document will be sent by courier service and interested participants may obtain Electronic version by E-mail.

7. Bids must be delivered to the address below at or before January 23, 2006, 15.00 local time. All bids must be accompanied by a bid security of USD 10, 000 (ten thousand) or an equivalent amount in a freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below on January 23, 2006, 15.00 local time.

**Electricity Market Support Project Service Organization (PSO)**
**Attn. Mr. Teimuraz Jugeli, Director**
**2 Baratashvili Street**
**0105, Tbilisi, Georgia**
**Tel: (995-32) 923-483**
**Fax: (995-32) 923-482**
**E-mail: t (jakhalaia@pso.ge)**

# გასეირნება „ფანტასტიკურ ქალაქში"

თეონა ჯაფარიძე

თბილისში იშვიათია, როცა გამოფენის გახსნიდან ერთი კვირის შემდეგაც საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელთა ნაკადი არ წყდება. თუმცა, ასეც ხდება ხოლმე: - მახსოვს, 80-იან წლებში საფრანგეთიდან ფელიქს ვარლას (ვარლამიშვილის) კოლექცია ჩამოიტანეს, მნახველთა რიგები მაშინაც არ წყდებოდა. დღეს ვარლამიშვილის რამდენიმე ტილო მხოლოდ რეპროდუქციის სახითაა წარმოდგენილი სხვა ავტორთა ორიგინალების გვერდით გრანდიოზულ გამოფენაზე, სახელწოდებით **"ფანტასტიკური ქალაქი"**.

გამოფენის ორგანიზატორებმა ქართული ხელოვნებისთვის ყველაზე საინტერესო, პროდუქტიული, ექსპერიმენტული და "ფანტასტიკური" პერიოდი – გასული საუკუნის 10-იანი, 20-იანი წლები გააცოცხლეს. საგამოფენოდ კი სწორედ ამ ეპოქის დროინდელი სივრცე და არქიტექტურა – ახლად რესტავრირებული თი-ბი-სი ბანკის ცენტრალური ოფისის შენობა გამოიყენეს. საგამოფენო სივრცე მხოლოდ ეპოქალური იდენტურობის გამო არ შეურჩევიათ. თი-ბი-სიმ თავისი საგამოფენო, საკმაოდ ვრცელი დარბაზით, სპეციფიკური განათებითა და გამოფენების მოწყობით საგალერეო ცხოვრებასაც მშვენივრად აუღო ალღო.

და ისევ "ფანტასტიკურ" 10-იან, 20-იან წლებს დავუბრუნდეთ. მაინც როგორ მოახერხეს გამოფენის ორგანიზატორებმა (მათ სიტყვებს დავესესხები) "ხელოვნების ისტორიაში სტილისტური თვალსაზრისით ყველაზე დატვირთული, კალეიდოსკოპურად ცვალებადი და ზოგჯერ ეკლექტიკური" პერიოდის ამსახველი ექსპოზიციის მოწყობა?



*ელენე ახვლედიანი. "ზამთარი"*

"გამოფენისთვის სამი წლის წინ დავიწყეთ მუშაობა. მანამდე მეც და გალერეა "ვერნისაჟსაც" ამ ეპოქის ავტორთა რამდენიმე გამოფენა უკვე მოწყობილი გვქონდა. მეტ-ნაკლებად უკვე ვიცნობდით სხვადასხვა კერძო კოლექციას, ვიცოდით, რომელ კოლექციაში ინახებოდა ესა თუ ის ტილო თუ დოკუმენტური მასალა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს ზაირამ ერთი ძველი ფოტო მოიტანა, რომელზეც ბაჟბეუქ-მელიქოვი და კირილ ზდანევიჩი იყვნენ გამოსახული. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ დოკუმენტურად აღგვედგინა ლეგენდა "ფანტასტიკურ ქალაქზე", როგორც მაშინ თბილისს ქართველმა თუ ევროპიდან და რუსეთიდან აქ თავმოყრილმა მხატვრებმა და პოეტებმა უწოდეს", – ამბობს **გალერისტი და ხელოვნებათმცოდნე ბაია წიქორიძე**.

შეგახსენებთ, რომ გამოფენა "ფანტასტიკური ქალაქი" გალერეებმა **"ვერნისაჟმა"** და "**ბაიას გალერეამ"** მოაწყვეს.

**ზაირა ბერელიძე, გალერისტი, ხელოვნებათმცოდნე**: "გამოფენისთვის მასალები მხოლოდ კერძო კოლექციებიდან მოვიპოვეთ. ანუ მოვიკვლიეთ და გამოვფინეთ ის, რაც მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში კი არ ინახება, არამედ ის, რაც დახურული იყო საზოგადოებისთვის და აქამდე არასოდეს გამოუფენიათ. საბოლოოდ კი ჩვენი პროექტი **კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის მოვლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.** გამოფენის გახსნაზე კატალოგისა და გამოფენის ელექტრონული ვერსიის პრეზენტაციაც მოხდა."

მაინც რა არის ექსპოზიციაზე წარმოდგენილი? - ავტორებს აღარ ჩამოვთვლი. გამოფენაზე წარმოდგენილი ცალკეული ნამუშევრები, ფოტომასალა თუ კერძო კოლექციებიდან "ამოქექილი" აფიშები, ფუტურისტი პოეტების საღამოებზე და პარალელურად მხატვრებთან, ცოცხალ სეანსებზე რომ ეპატიჟებიან საზოგადოებას, მაშინდელი მხატვრული ბოჰემის ცხოვრების კონკრეტულ ეპიზოდებს აცოცხლებს. იმდროინდელი სახელოვნებო ეპოქა, გამოფენის ორგანიზატორთა თქმით, ასე გამოიყურება: "ამ დროს საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობაა. ჩამოდიან რუსი და უცხოელი მხატვრები, მწერლები, პოეტები. ამ პერიოდის თბილისი მოდერნიზმისა და ავანგარდის ცნობილი პერსონების მოღვაწეობის ასპარეზია. თბილისში ერთიმეორის გვერდით არსებობს აკადემიური მხატვრობა, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, კუბიზმი... თბილისში იქმნება ფუტურისტული გაერთიანებები "პოეტების ამქარი", "ფუტურისტების სინდიკატი", "ფანტასტიკური სამიკიტნო", ქართველი სიმბოლისტების ცნობილი გაერთიანება "ცისფერყანწელები", იხსნება art-ისტული თუ ლიტერატურული სალონები..."

ასე რომ, ვიდრე 150-მდე ტილო თუ უნიკალური დოკუმენტური მასალა კერძო კოლექციებს დაუბრუნდება, აუცილებლად გაისეირნეთ "ფანტასტიკურ ქალაქში". გამოფენა 15 დეკებრამდე გასტანს. გამოფენის ორგანიზატორები კი კვლავ განაგრძობენ ამ საინტერესო ეპოქის კვლევას, რომ საბოლოოდ გამოიცნონ, თუ რატომ შედგა "ესთეტიკური ნადიმი სოციალური ჭირის დროს."

ვარაუდობენ, რომ გამოფენას გაგრძელება ექნება რუსეთში ან, შესაძლოა, პარიზშიც კი.

# ავანსცენა ვარსკვლავებს ელის

*პაატა ბურჭულაძეს და მის საქველმოქმედო ფონდს სამი ძალიან წარმატებული და ცნობილი ქართველი ვოკალისტი ჩამოჰყავს თბილისში: მაყვალა ქასრაშვილი, ბადრი მაისურაძე და ნატო ჭყონია. ეს უკანასკნელი თბილისელი მსმენელის ყურადღებას პირველად მიიპყრობს. საპრემიერო წარმოდგენის მთელი შემოსავალი "იავნანას" გადაეცემა, თუმცა "რეკვიემი" ოპერის თეატრის რეპერტუარში რჩება და მისი მოსმენა თითქმის ყოველთვიურად შეგვეძლება. მართალია, თეატრში ჩემი მისვლის მთავარი მიზეზი "რეკვიემი" და მისი გასტროლიორები გახლდათ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საუბარი ბატონ ზაზა აზმაიფარაშვილთან შედგა, ამ კონკრეტულმა საკითხმა უფრო ფართო თემებისკენ გადაგვისროლა.*

პირველი გვერდიდან

**ზაზა აზმაიფარაშვილი**: "რეკვიემს" მოისმენთ ასევე იანვარში და მარტში, როცა თბილისში ჩამოვა ზურაბ ზურაბიშვილი. ტენორი, რომელსაც საქართველოში არ იცნობენ, მაგრამ გერმანიაში იგი წარმატებით მოღვაწეობს. ამ თვის ბოლოს, 30 დეკემბერს დები ჭყონიები ჩვენს ორკესტრთან ერთად საახალწლო კონცერტს გამართავენ. აპრილში თაქთაქიშვილის "მინდიას" დადგმას ვგეგმავთ, აქ დაგვეხმარება ბატონი გიზო ჟორდანია. გოგი ჭიჭინაძე, თუმანიშვილისა და ჯანსულ კახიძის დადგმას, ვერდის "ბალ-მასკარადს" განაახლებს, ამაჟამად მიმდინარეობს მუშაობა და თებერვალში წარმოდგენები გაიმართება. სრულიად ახალი დადგმა იქნება ვერდის "ტრუბადურისა", რომელსაც ივნისში შვედეთში, დალჰალას ფესტივალზე წავიღებთ, ყველასთვის ძალიან ცნობილ და გამორჩეულ ფესტივალზე. "ტრუბადურს" უცხოელი რეჟისორი და მხატვარი დადგამენ. ასევე დალჰალასთვის მოვამზადებთ სენ-სანსის "სამსონსა და დალილას", ოღონდაც საკონცერტო შესრულებით. ჩვენი გეგმა მომავალი თეატრალური სეზონის ნოემბრამდეა გაწერილი. წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ სექტემბრიდან პირველი პრემიერა უნდა იყოს ლეონკავალოს "ჯამბაზები", რომელიც ბატონმა თემურ ჩხეიძემ უნდა განახორციელოს."

**- როდისთვის იგეგმება სარემონტო სამოშაოების დაწყება? როგორ და სად იმუშავებს თეატრის დასი?**

- შვიდასი ადამიანის გადასვლა და სხვაგან მუშაობა ძალიან რთული საქმეა. თუ ჩვენ არ გვექნება ნორმალური პირობები, გამოვა, რომ მუშაობა შეჩერდება, ეს კი დაუშვებელია. თეატრის ხელმძღვანელობამ გადავწყვიტეთ, რომ სანამ ნორმალური ბაზა არ იქნება მომზადებული, არ ვიჩქაროთ რემონტის დაწყება, რომელიც სულ ცოტა ხუთი წელი გაგრძელდება. გარდა რეპეტიციების ჩატარების საშუალებისა, წინასწარ უნდა გვქონდეს შემოთავაზებები სხვადასხვა თეატრებისგან, სადაც პროექტებს განვახორციელებთ. საკონცერტო მოღვაწეობა მაინც უნდა მოვახერხოთ და ამისთვის სცენა და პირობები გვესაჭიროება.

**- ერთია გეგმები, მეორეა რამდენად შესწევს თეატრს მათი განხორციელების ძალა, თუნდაც ფინანსური საშუალებები?**

- მართლაც, არის რაღაც პატარა პრობლემები დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი მოგვარდება.

**- მას შემდეგ, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, საკმაო დრო გავიდა. იყო არჩეული გარკვეული პოლიტიკა მართვისა, იყო არჩეული პრიორიტეტები, დასმული აქცენტები სოლისტებთან, დასთან, ორკესტრთან მუშაობაში. ამ ხნის განმავლობაში როგორ შედეგებს მიაღწიეთ და ხომ არ შეიცვალა მართვის მეთოდი, მიმართულებები?**

- თქვენ ყველა კომპონენტი აღნიშნეთ. ყოველი მათგანი მუშაობის პროცესშია, და ყველა დეტალი გასაკეთებელი და გასაჩარხია. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან შორს ვართ სრულყოფილებისგან. ბოლომდე ჯერ ვერ ვაჩვენებთ ჩვენს შესაძლებლობებს. შორს ვართ, მაგრამ პროცესი მიდის, ის ძალიან რთულია, მას დრო სჭირდება, მაგრამ დასი რომ შემართულია, ფაქტია. თავიდან მარტივად ითქმის, რომ ახალგაზრდებს გამოიყვან ავანსცენაზე, ამას გააკეთებ, ამას დადგამ. რაღაც გეგმა თავიდან არსებობს, მაგრამ ყველაფერი იმდენად რთულია, ამ პერიოდში იმხელა პრობლემებს აწყდები, რომ ხვდები, რაოდენ რთული პროცესია. ჩვენ ძალიან დიდი დრო გვჭირდება, რომ მაქსიმალურად დავხვეწოთ პროფესიონალური დონე. ამას სჭირდება წლები, და ჩვენი წარმატებული სვლები. ჩვენი ჩავარდნა კატასტროფის ტოლფასია, პატარა ფეხის დაცდენის უფლებაც კი არ გვაქვს, ამიტომაც უნდა ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი დაწყებული საქმე, რომ რაღაც არ გამოგვრჩეს. ისევ და ისევ ვიმეორებ, რომ ყველაფერი არის მუშაობის პროცესში.

**- თეატრში და დასთან მუშაობით მიღებული გამოცდილებით ფაქტია, რომ დასის წევრების გამორჩევა შეგიძლიათ. თუ გეგმავს საოპერო დასი წინა პლანზე წამოწიოს წარმატებული არტისტები, როგორც სახე დასისა. თუ არის ასეთი გეზი, და რა კეთდება კონკრეტულად ამ მიმართულებით?**

- წინა სეზონი "დაისით" რომ დავასრულეთ, გამოვაცხადეთ წლის ყველაზე წარმატებული მომღერალი, სულხან გველესიანი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული და ჩამოყალიბებული მომღერალია. მე მასზე კარგის მეტი არ შემიძლია ვთქვა. ჩვენ გია ონიანი ჩამოვიყვანეთ, მან იმედები გაგვიმართლა და ამიტომაც ყველა მნიშვნელოვან პარტიებს ტენორისათვის ის მღერის. ცოტა ხნის წინ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, ნინო მაჩაიძე იტალიაში სასწავლებლად გაემგზავრა. ისიც მომავალი ვარსკვლავია. ამ ტიპის ხმის წარმომადგენელია ნინო ჩაჩუა, კარგად ვითარდება და მგონია, რომ ის ჩვენი თეატრის მომავალია. ჩამოვიყვანეთ პუტილოვა, რომელიც დამწყები მომღერალი ნამდვილად არ არის, მაგრამ ძალიან კარგად მოერგო ჩვენს დასს. ასევე მაყვალა ასპანიძე, რომელიც ძალას იკრებს და გახსოვთ ალბათ, როგორი წარმატებით შეცვალა "აიდაში" გასტროლიორები. ასევე უნდა აღვნიშნო კახა თეთვაძე, ლეგი იმედაშვილი, რომელიც სულ ახლახანს გასტროლებიდან ჩამოვიდა. ორი სიტყვა მინდა ვთქვა ირინა ალექსიშვილზე, რომელიც მეცო სოპრანოა და დღითი დღე იზრდება. ბევრი შეიძლება ითქვას ჩვენს სტაჟიან სოლისტებზე, მაგრამ თუ კიდევ ახალ თაობაზე უნდა ვისაუბროთ, აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ "დონ პასკუალე", სპექტაკლი, სადაც ეს თაობა მკვეთრად გამოვლინდა. გოჩა დათუსანმა, ნინო მაჩაიძემ და ნიკა ლაგვილავამ ჯერ საოპერო სტუდიის სცენაზე, შემდეგ კი ჩვენთან მაყურებელი განაცვიფრეს.

**- რაც შეეხება მაყურებელს, მათ აშკარად ჰყავთ ფავორიტები. ნიკა ლაგვილავას, ნინო მაჩაიძეს, თეატრის ხელმძღვანელობა დასის წარმატების გარანტად და ვარსკვლავებად ასახელებდა. გასაგებია, რომ მაჩაიძე იტალიაში გაემგზავრა და სავარაუდოდ საკმაო ხნით, მაგრამ ლაგვილავა ჯერჯერობით საქართველოშია. გასულ და მიმდინარე თეატრალურ სეზონზე მისი ხილვისა და მოსმენის შანსი არც ისე ხშირად გვეძლეოდა. რა არის ამის მიზეზი, რეპერტუარის სიმწირე? ნებისმიერი წარმოდგენის შემდეგ დარბაზის კულუარებში მელომანები გამუდმებით მასზე საუბრობენ, რითი იმსახურებს ასეთ სიყვარულს და რას გეგმავს თეატრი მასთან მიმართებაში?**

- დიახ, მას გააჩნია ისეთი ნიჭი, რომლითაც ყველასგან გამოირჩევა. მას უნდა ემღერა "დონ კარლოსში" როდრიგოს პარტია, მაგრამ გერმანიაში მიდიოდა და ვერ მოასწრო მომზადება. ამჟამად მას სულ მალე "ბალ-მასკარადში" მოისმენთ, იგი რენატოს პარტიას იმღერებს. წლის ბოლოს კი "ტრუბადურში" იმღერებს. განსაკუთრებულ ყურადრებასა და მოწონებას იგი განსაკუთრებულად ძლიერი ხმითა და ულამაზესი ტემბრით იმსახურებს. ასევე სამსახიობო, არტისტული ნიჭიერებით. ნიკა შთამბეჭდავი მონაცემებითაა დახუნძლული. ძალიან მუსიკალურია და ყველაფერი ეს, განაპირობებს მის წარმატებას. ძალიან ახალგაზრდაა და მიუხედავად ამისა ძალიან ბევრს სძლევს.

**- დაიბრუნებს თუ არა ნინო მაჩაიძეს თეატრი?**

- ვერ გეტყვით, დაბრუნდება თუ არა, მაგრამ თანამშრომლობა მუდმივად გვექნება. 29 დეკემბერს ნინო მაჩაიძე და ნიკა ლაგვილავა ერთად იმღერებენ "დონ პასკუალეში.

**P.S.** გეგმები საკმაოდ შთამბეჭდავია. თუ გაწერილ პროგრამას კიდევ სპონტანურად დაგეგმილ გასტროლებსაც დავუმატებთ, თბილისელი ოპერის მოყვარული საზოგადოება გულნატკენი არ უნდა დარჩეს. საზოგადოება კი ადრე თუ გვიან ქართული ოპერის ცნებაზეც უნდა დაფიქრდეს. ნებისმიერი მსოფლიო დონის საოპერო დასი მაინც იმ ადამიანების სახეებით მეტყველებს, ვინც მის ავანსცენაზე დგება. იქნებიან ეს წარმატებული დირიჟორები თუ ვარსკვლაური ბრწყინვალებით შემკული მომღერლები. სხვა დანარჩენი მოგვწონს თუ არა, მეორეხარისხოვანია. ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვის აირჩევს საკუთარ სახედ ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა, ვინ იქნებიან ის შემსრულებლები, რომლებიც ნებისმიერ ახალ თუ განახლებულ დადგმას ზეიმად აქცევენ. ფორმულა ძალიან მარტივია, რჩეული უნდა იყოს უნაკლო ყველა მიმართულებით, იქნება ეს მისი ვოკალური შესაძლებლობები, არტისტიზმი, თუ მასშტაბი იმ უნარისა და იმ შესაძლებლობებისა, რომლითაც მაყურებლის ოვაციებსა და მაქსიმალურ ყურადღებას პირველ ბგერასა და პირველ ჟესტთან ერთად დაიმსახურებს. ასეთები ზუსტად ვიცი, რომ ბატონი ზაზას ვრცელ ჩამონათვალში, რამდენიმე მაინც იქნება. მთავარია, ისინი დროს და პიროვნებებმა დროულად დაინახონ, მერე უკვე ჩვენც მოვუსმინოთ და როგორ დავაფასებთ, ეს უკვე ხვალინდელი დღის ამბავია. ფაქტია, რომ ავანსცენაზე ნამდვილი ვარსკვლავები უნდა დადგნენ, რათა თეატრმა თავდადებული შრომის წარმატებული შედეგები იგემოს.







მარიონეტების თეატრი
10,11,17 და 18 დეკემბერი
"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26

# ლაშა და ხულიგნები

ფმ ცხოვი 98.0

**ლაშა ბუღაძე**: მაინტერესებს როგორ შეაფასებდით საკრებულოში მომხდარ ფაქტს?

**სოსო შატბერაშვილი**: ეს ფაქტი დეპუტატებს შორის კონფლიქტი კი არ იყო ეს იყო ცემა-ტყეპა, რომელიც განახორციელეს ჩვენთვის სრულიად უცნობმა ადამიანებმა;

დავით იოსელიანი აცხადებს, რომ ისინი უცხონი კი არა, მთავრობის წევრები იყვნენ. მაშინ უარესად გვქონია საქმე. პროკურატურას შეუძლია გამოიძიოს, მაგრამ მეეჭვება ამით დაინტერესდეს.

**სოსო ეგუტია**: საკრებულოში მიმდინარეობდა პოლემიკა ბიუჯეტთან დაკავშირებით. კამათი დასასრულისაკენ მიდიოდა. ამ დროს შემოვიდა დეპუტატთა გარკვეული ჯგუფი, რის შემდეგაც ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები გარდაისახნენ და ჩხუბის პროვოცირება მოახდინეს. რაც შეეხება უცხო პირებს, საკრებულო საჯარო დაწესებულებაა და იქ შესვლის უფლება ყველას აქვს.

**ლაშა ბუღაძე**: ჩხუბის მიზეზი ბიუჯეტის კანონპროექტი იყო

**სოსო შატბერაშვილი**: როდესაც პლენარული სხდომა დაინიშნა, ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ ასეთ ბიუჯეტს ხმას არ მივცემთ და იცით რატომ? ისეთი ღარიბი ქალაქის ბიუჯეტი, როგორიც თბილისია, ორიენტირებული უნდა იყოს სოციალურ საკითხებზე. იმ დროს,როდესაც ქვეყნის მოქალაქეები ნაგავში იქექებიან, არ შეიძლება 7 მილიონი ჯანდაცვაზე იყოს გათვლილი, მერიისა და საკრებულოს შენახვაზე კი 10 მილიონი.

**სოსო ეგუტია**: ფედერალურმა ბიუჯეტმა წაილო სასწრაფო დახმარება 03-ზე 6 მილიონი; "კარდიოქირურგიამ" კი 4,5 მილიონი. ლეიბორისტები მხოლოდ ლაპარაკობენ, ამით კი საქმე არ კეთდება. ისინი პოზიტიურშიც ნეგატიურს ხედავენ.

**ლაშა ბუღაძე**: ლეიბორისტები პოლიტიკური მოსაზრების გამო ვერ ხედავენ ნაციონალების წარმატებას, თუ რეალურად არაფერი კეთდება?

**სოსო შატბერაშვილი**: თუ ოპოზიციონერი ხარ, ყველაფერს კრიტიკულად უნდა უყურებდე ვით პოზიტიურ მოვლენასაც კი. ოპოზიცია იმისათვის არის საჭირო, რომ ხელისუფლებას კონტროლი გაუწიოს.საკრებულოში. იმიტომ აგვირჩიეს, რომ ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფული მიზნობრივად დაიხარჯოს. საკრებულოში ჩვენს წინადადებას ყურადღებას არავინ აქცევს.

**სოსო ეგუტია**: ვერ ვიხსენებ შემთხვევას, ლეიბორისტები რაიმე ინიციატივით გამოსულიყვნენ. მათ მხოლოდ კრიტიკა ეხერხებათ. ამ ერთი წლის განმავლობაში თბილისის იერსახე შეიცვლება. ყველა ქუჩა განათდება, ფასადები შეიღებება მერე რაღას იტყვიან?

**სოსო შატბერაშვილი**: 360 ათასი რომ "ლაზერ-შოუზე" იხარჯება, სამარცხვინო ფაქტია. ამის გამო ჩვენ ჭიაბერაშვილსაც ვუჩივლეთ. 40 ათასს როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლის გადაადგილებაზე ხარჯავენ, ზეიმებს აწყობ მაშინ, როდესაც ხალხს უკიდურესად უჭირს, მოსაწონია? კი ბატონო, ასფალტიც დავაგოთ, ფასადებიც შევღებოთ, მაგრამ ამის მეტი არაფერი გვაქვს გასაკეთებელი?

**ლაშა ბუღაძე**: ე.ი. ძირითადი აქცენტი კეთდება ესთეტიკურ ღირებულებებზე და არა ფუნქციონალურზე?

**სოსო ეგუტია**: შატბერაშვილი გადაჭარბებულად საუბრობს. ლეიბორისტებს უბრალოდ არ სურთ დაინახონ რეალურად რა კეთდება.

**ლაშა ბუღაძე**: პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ასლან აბაშიძის მიმართ. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

**სოსო ეგუტია**: ამ საკითხში ჩახედული არ ვარ. გავერკვევი და შემდეგ ვისაუბრებ.

**სოსო შატბერაშვილი**: თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა, რომ ოღონდ ასლანი საქართველოდან წავიდეს და მე მას ხელშეუხებლობას ვპირდებიო. თავად პრეზიდენტმა გაუშვა. რა თქმა უნდა, თუ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, დასაკავებელია.

**სოსო ეგუტია:** თავის პრეზიდენტს ისე არავინ ლანძღავს, როგორც თქვენ. სომხეთიც კი თავის პრეზიდენტს ისე არ აყენებს შეურაცხყოფას, როგორც ჩვენი ლეიბორისტები. ეს არის თქვენი ადამიანობა და კაცობა. ნათელაშვილს ადამიანი ნახირსაც კი არ ჩააბარებს.

**სოსო შატბერაშვილი**: როცა საკრებულოში ჩხუბი მოხდა, ამ ამბით არავინ შეწუხებულა. პირიქით, ლეიბორისტების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდათ. მინდა, რომ ქართველი ხალხი სააკაშვილისგან გათავისუფლდეს.

**სოსო ეგუტია**: მოვა დრო, როცა თქვენი ადგილი აღარ იქნება საკრებულოში.

# გოგი ცაბაძის 80 წლისთავი

ინგა ფორჩხუა

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გოგი ცაბაძის საიუბილეო საღამო "გული მღერის, სული მღერის", რომელიც კომპოზიტორის დაბადებიდან ოთხმოც წლისთავს მიეძღვნა.

გოგი ცაბაძე ავტორია 200-მდე სიმღერის და აგრეთვე ბრწყინვალე კინომუსიკის.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც ცნობილი შემსრულებლები და ანსამბლები, ასევე ახალბედები: ე. მამალაძე, თ.წიკლაური, მ.სეფაშვილი, თ.თათარაშვილი, მ. ზაქარეიშვილი, "ქართული ხმები", "ანა ბანა" (ხელ-ი კახა ცაბაძე) და მრავალი სხვა.

საღამოზე ვერ ჩამოვიდნენ ნანი ბრეგვაძე და ვახტანგ კიკაბიძე, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ "ორერას" ვარსკვლავის გახსნას მოსკოვში.

საღამოზე გამოყენებული იყო საარქივო ვიდეომასალა, რომელიც კომპოზიტორის ცხოვრების ამსახველ მეტად საინტერესო დეტალებს გადმოგვცემდა. ბატონი გოგი გაიხსენეს მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა - გიგა ლორთქიფანიძემ, გიორგი შენგელაიამ, ბიძინა კვერნაძემ.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა კომპაქტ-დისკი სახელწოდებით "პაწაწინა სამოთხე", რომელშიც 12 სიმღერაა შესული ავტორის შესრულებით.

ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge